დედაქალაქში კონტრაბანდით დატვირთული ავტობუსები დააკავეს A2

რუსეთის ბაზარზე პროდუქციის 90 პროცენტი ყალბია A4

TV-პროგრამა A8

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

კვირა, 29 დეკემბერი, 2002 წელი. №210

ფასი 50 თეთრი

„ბიუჯეტის ჩავარდნა კარგი არ არის, კარგია ცუდი ბიუჯეტის ჩავარდნა"

გიორგი ასანიშვილი

გუშინ, 16 საათსა და 21 წუთზე პარლამენტის სხდომათა დარბაზის ტაბლოზე დაფიქსირებულმა შედეგმა შოკში ჩააგდო სახელისუფლებო ფრაქციებისა და სამთავრობო ლოჟაში მყოფი აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები. "115 მომხრე, 42 წინააღმდეგი. გადაწყვეტილება არ არის მიღებული", - ეწერა ელექტროდაფაზე. მოგვიანებით, საპროცედურო საკითხებისა და წესების კომიტეტის თავმჯდომარემ როსტომ დოლიძემ დააზუსტა, რომ ბიუჯეტის პროექტის მხარდამჭერთა რაოდენობა ერთით ნაკლები - 114 იყო. თუმცა, ეს ერთხმიანი სხვაობა მაინც აღარაფერს ცვლიდა: მის გარეშეც ცხადი გახდა, რომ საქართველოს პარლამენტმა მთავრობის მიერ წარმოდგენილი 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პირველი მოსმენით მიღებაზე უარი თქვა. ქვეყნის მთავარი ეკონომიკური კანონის მიღებას მხოლოდ ოთხი ხმა დააკლდა.

არადა, ასეთ დასასრულს თითქოს არაფერი მოასწავებდა: ჯერ კიდევ წინა დღეს სახელმწიფო მინისტრი სანაძლეოს სთავაზობდა ჟურნალისტებს, რომ ბიუჯეტის პროექტს პარლამენტი მხარს დაუჭერდა. იმედიანად იყვნენ პარლამენტში წარმოდგენილი პროსამთავრობო ძალებიც. მათ სრული მობილიზაცია გამოაცხადეს - კენჭისყრის წინ სხდომათა დარბაზში "რეზერვისტებიც" (შეუძლოდ მყოფნი, ოჯახური და პირადული მდგომარეობის გამო შეჭირვებულები და სხვა) კი მივიდნენ; შედეგად - ხელისუფლების მხარდამჭერ ფრაქციათა სავარძლები თითქმის მთლიანად შეივსო. მეტიც: "ბიუჯეტისტებს" მათი ხმის მისაცემი ბარათებიც ჰქონდათ, ვინც იმ დღეს სხდომაზე მისვლა ვერ მოახერხა.

არნახულად აქტიურობდა ფრაქცია "მოქალაქეთა კავშირის" თავმჯდომარე ვიტალი ხაზარაძე. მის ფეხქვეშ თითქოს მიწა იწვოდა - მუდმივად მიმოდიოდა, ვიღაცას ტუქსავდა, ვიღაცას

გაგრძელება A4 გვერდზე

„ცოცხალი არ არის, მაგრამ ჩვენ გამოვაცოცხლებთ„

ლევან ხერხეულიძის ფოტო

თბილისელები ნაძვის ხეს საკუთარი ხელით რთავენ.

თამარ დვალი

რამდენიმედღიანი მღელვარების შემდეგ, გუშინ მერიის წინ საახალწლო განწყობა სუფევდა. თავისუფლების მოედანზე ძველი, მაგრამ განახლებული ოცდაორმეტრიანი ნაძვის ხის ირგვლივ უამრავმა ბავშვმა მოიყარა თავი. "დილიდან აქ ვარ და ჩემი სათამაშოებით ვრთავ ნაძვის ხეს. მართალია, ცოცხალი არ არის, მაგრამ ჩვენ გამოვაცოცხლებთ. ჩემი სურვილია, ხალხმა აქ მოიტანოს სათამაშოები, აქედან კი არ წაიღოს, როგორც ხშირად ხდება ხოლმე", - გვითხრა თერთმეტი წლის მამული შაფათავამ და თან გვთხოვა, აუცილებლად დაგვებეჭდა მისი "ინტერვიუ", რადგან მამისაგან კიდევ ერთ საჩუქარს მიიღებდა.

უფროსები ამბობენ, რომ შვილებთან ერთად მათაც საახალწლო განწყობა შეექმნათ. **"ასე მგონია, ბავშვობა დამიბრუნდა! ყველა პრობლემამ უკანა პლანზე გადაინაცვლა! მეც ამათთან ერთად მიხარია"**, - არ მალავდა ემოციებს შუახნის ქალბატონი.

ბავშვების გამხიარულებას სანტა კლაუსი და ტრადიციული თოვლის ბაბუა, ქალაქის მერი და საკრებულოს თავმჯდომარეც ცდილობდნენ, მაგრამ ბიჭებში ყველაზე დიდი აღტაცება საყვარელი ფეხბურთელის გამოჩენამ გამოიწვია - კახი კალაძემ საკუთარი მაისურით დაამშვენა ნაძვის ხე და პატარა თაყვანისმცემლებს ავტოგრაფები დაურიგა.

დედაქალაქის მორთვა მერიას დეკემბრის დასაწყისში უნდა დაეწყო, მაგრამ ბოლო დღემდე ეს ვერ მოახერხა. თბილისი ახალ, 2003 წელს თავისუფლების მოედანზე აღმართული ხელოვნური და მერიის წინ სიმბოლურად დარგული ორი ცოცხალი ნაძვით შეხვდება.

ახალი წლის ღამეს დედაქალაქის ცას თურქეთიდან გამოგზავნილი ფეიერვერკები გაანათებენ.

სუფსის მიმდებარე ტერიტორია ეკოლოგიურ კატასტროფას გადაურჩა

სოფიკო ოხანაშვილი

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მონაცემებით, მდინარე სუფსაში 900 ლიტრამდე ნავთობი ჩაიღვარა. დაახლოებით ამავე რაოდენობაზე საუბრობს "საქნავთობის" გენერალური დირექტორი გიორგი მახარაძე. დღეისთვის გახდება ცნობილი ნავთობის ჩაღვრის შედეგად გარემოსთვის მიყენებული ზიანისა და ადგლობრივი მოსახლეობისთვის მიყენებული ზარალის ოდენობა. ნებისმიერ შემთხვევაში, "საქნავთობი" ჯარიმებს ვერ აცდება. ჯარიმის ოდენობას კი მხოლოდ ზარალისა და ზიანის დადგენის შემდეგ განსაზღვრავენ.

მდინარე სუფსის მიმდებარე ტერიტორიას ეკოლოგიური კატასტროფა არ ემუქრება - ამის შესახებ განაცხადეს როგორც გარემოს დაცვის სამინისტროში, ასევე "საქნავთობშიც". **"ნავთობი ძალიან მცირე ოდენობით დაიღვარა, ასე რომ, ეკოლოგიურ კატასტროფაზე საუბარიც კი ზედმეტია"**, - აღნიშნა "საქნავთობის" გენერალურმა დირექტორმა გიორგი მახარაძემ. მისი ინფორმაციით, ნავთობი მდინარის ნაპირებზე დაილექა. ამ ადგილის გასუფთავებაზე კი "საქნავთობის" სპეციალური ჯგუფი მუშაობს. ამავეს ადასტურებს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროც. **"GIOC-ის დახმარებით ყველაფერი დასუფთავდება და გარემოსთვის მიყენებული ზიანი ლიკვიდირებული იქნება"**, - აღნიშნა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს პრეს-სამსახურის ხელმძღვანელმა მაია კაპანაძემ.

ნავთობმა, ნაწილობრივ, ადგილობრივი მოსახლეობის კერძო ნაკვეთებიც დააბინძურა. მახარაძის თქმით, მოსახლეობის თხოვნის თანახმად, ნაკვეთების გასასუფთავებლად "საქნავთობი" მათ გარკვეულ თანხას გადაუხდის. ხოლო რაც შეეხება გარემოსთვის მიყენებულ ზიანს, კაპანაძის ინფორმაციით, გარემოს დაცვის სამინისტრო ზიანის ოდენობის დადგენის შემდეგ "საქნავთობს" შესაბამის ჯარიმასაც გადაახდევინებს. ეს თანხა კი ადგილობრივ ბიუჯეტში შევა.

გაგრძელება A4 გვერდზე

— საზოგადოება —

უფასო სასწრაფო სამედიცინო დახმარება ჭიანურდება

თბილისის საკრებულოს ერთ-ერთი დადგენილებით, სასწრაფო სამედიცინო დახმარება - 03, მომავალი წლის 1 თებერვლიდან მოსახლეობისთვის
უფასო უნდა გამხდარიყო, თუმცა ამის დროულად შესრულება თავად ამ გადაწყვეტილების ავტორებს დღეს უკვე აეჭვებთ. საკითხის გაჭიანურებაში საკრებულო და მერია ერთმანეთს ადანაშაულებენ.

A2

ამინდი

თბილისი	7
ქუთაისი	11
ბათუმი	13
სოხუმი	9
ფოთი	11
თელავი	7
ზუგდიდი	10
გორი	6

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.1119
ევრო	2.1928
ყირგიზეთი სტერლინგი	3.3826
რუბლი	0.0664

მოსამართლე და დამცველი - მოსარჩელე და მოპასუხე

თამარ კაკიტაძე

არასამთავრობო ორგანიზაციის - "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" ქუთაისის ფილიალის წარმომადგენლები თბილისში დაპატიმრებული ადვოკატის უფლებების დასცავად ჩამოვიდნენ.

როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელმა, ადვოკატმა თენგიზ ასლანიკაშვილმა აგვიხსნა, ნუგზარ ერაგია ქუთაისის პროკურატურამ უდანაშაულოდ დაპატიმრა.

ნუგზარ ერაგია, რომელიც რამდენიმე წლის წინ სააქციო საზოგადოება "ელექტრომექანიკოსის" ქარხანში საამქროს უფროსის თანამდებობიდან გათავისუფლეს, სასამართლოში აღნიშნული ქარხნის წინააღმდეგ გამოდის და ყოფილი თანამშრომლის - ერმალო ლანჩავას სასარგებლოდ, ქარხნისგან მიყენებული მორალური ზიანის ასანაზღაურებლად, 160 ათასი ლარის მისაღებად იბრძვის.

არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები არ მალავენ, რომ ერაგია-ლანჩავას დუეტი სასამართლო პროცესებზე მომხრეების ამალით დადიოდნენ. მათ შორის ყველაზე აქტიური იყო მარინა დახუნდარიძე.

როგორც ასლანიკაშვილი აღნიშნავს, დერეფანში მარინა დახუნდარიძემ მოსამართლეს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. შემდგომ სასამართლოს თავმჯდომარის კაბინეტში შესულ ჟორჟოლიანს ნუგზარ

გაგრძელება A2 გვერდზე

აფხაზი ჟურნალისტები თბილისში

თამარ ხორბალაძე

გასულ კვირაში საქართველოში სტუმრობდნენ აფხაზი ჟურნალისტები სვეტლანა კორსაია და იბრაგიმ ჩკადუა, რომლებიც ქართველ კოლეგებთან - სტუდია "რე"-სთან ერთობლივ პროექტს ახორციელებენ - იღებენ ფილმს ირლანდიის კონფლიქტთან დაკავშირებით. იდეის თანახმად, ჟურნალისტებმა საკუთარი მიდგომა, საკუთარი ხედვა უნდა შეიმუშაონ კონფლიქტისადმი და სცადონ მისგან გაკვეთილების გამოტანა. თავისთავად ცხადია, ჩვენეული კონფლიქტის ორი მხარის წარმომადგენელთათვის საერთო დასკვნებამდე მისვლა მარტივი საქმე არ არის:

"გაკვეთილების გამოტანა მათი გამოცდილებიდან შეიძლება, თუმცა პარალელების გაკეთებას ჩვენ არ ვცდილობთ..." - განუცხადა "24 საათს" პროექტის მინაწილემ, აფხაზმა ჟურნალისტმა სვეტლანა კორსაიამ.

ერთობლივი მუშაობის გამოცდილება მათ უკვე დაუგროვდათ - წლის დასაწყისში გადაიღეს ფილმი გალის რაიონის შესახებ, რომელშიც მოახერხეს ასეთ საერთო პოზიციამდე მისვლა.

საინტერესოა, რომ ცხინვალში მცხოვრებ ჟურნალისტთაგან განსხვავებით, აფხაზ ჟურნალისტებს ქართველ ჟურნალისტებთან ერთობლივი პროექტების განსახორციელებლად ხელისუფლების განსაკუთრებული თანხმობა არ სჭირდებათ. თუმცა, რა თქმა უნდა, გართულებულია თბილისში ჩამოსვლა და ამას ადგილობრივი უშიშროების აუცილებელი თანხმობა სჭირდება.

სვეტლანა კორსაია აცხადებს, რომ გაცილებით მეტი პრობლემა იქმნება

გაგრძელება A4 გვერდზე

ქართველი რაგბისტები და ძიუდოისტები - წლის საკეთესო გუნდები

B1

ახალი ტერაქტები ისრაელში

რეზო ბახტაძე

27 დეკემბერს, გვიან ღამით, პალესტინური ტერორისტული დაჯგუფების "ისლამური ჯიჰადის" მებრძოლებმა ჰებრონის რაიონში მდებარე ებრაელთა დასახლებაზე - ოტნიელზე თავდასხმა განახორციელეს. ტერაქტის შედეგად, ოთხი ებრაელი დაიღუპა, ხოლო 9 მძიმედ დაიჭრა. ისრაელის არმიის სპეცდანაყოფების მიერ ჩატარებული საპასუხო სპეცოპერაციის შედეგად, ყველა თავდამსხმელი ადგილზე გაანადგურეს. მოგვიანებით იერუსალიმის ცენტრში მძლავრი აფეთქება მოხდა.

ებრაელებით დასახლებული პუნქტი – ოტნიელი ქალაქ ჰებრონის სამხრეთით მდებარეობს. გვიან ღამით ორი არაბი პიროვნება დასახლების ერთ-ერთ სასადილოში შევარდა, ხელყუმბარები ისროლა და ავტომატური იარაღიდან ცეცხლი გახსნა. რამდენიმესაათიანი ორმხრივი სროლის შედეგად, თავდამსხმელთა ლიკვიდაცია ადგილზევე მოხდა. ერთ-ერთი ტერორისტი ისრაელის სამხედრო მოსამსახურის ფორმაში იყო გამოწყობილი. დაჭრილები იერუსალიმისა და ბეერ-შევის საავადმყოფოებში გადაიყვანეს.

როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, ტერაქტზე პასუხისმგებლობა "ისლამურმა ჯიჰადმა" აიღო. ტერორისტული დაჯგუფების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეს ტერაქტი ისრაელის არმიის მიერ ხუთშაბათს მათი ორგანიზაციის ერთ-ერთი ლიდერის

გაგრძელება A4 გვერდზე

მოკლედ

თბილისი. 92-მა დეპუტატმა ხელი მოაწერა მოთხოვნას, რომელიც, ხმის მიცემის ელექტრონული სისტემისა და ამომრჩეველთა პერსონიფიკაციის დანერგვის მიზნით, 2003 წლის ბიუჯეტში 10 მილიონი ლარის გმოყოფას ითვალისწინებს. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

თბილისი. სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე აცხადებს, რომ ისეთ პატარა ქვეყანას, როგორიც საქართველოა, 40-მდე სამინისტრო და დეპარტამენტი არ სჭირდება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. "მომავალი წლის მთავარ ამოცანას წარმოადგენს კეთილსასურველი ატმოსფეროს შექმნა რუსეთსა და საქართველოს შორის მეგობრობის, კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის შესახებ დიდ ჩარჩო ხელშეკრულებაზე მოლაპარაკებების განსაახლებლად", - განაცხადა რუსეთის ელჩმა საქართველოში ვლადიმირ ჩხიკვიშვილმა. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. "საქართველო 2003 წლის იანვარში აპირებს რუსეთთან კონსულტაციების დაწყებას ქვეყანაში დისლოცირებული რუსეთის სამხედრო ბაზების დაბეგვრის საკითხთან დაკავშირებით", - განცხადა საქართველოს ფინანსთა მინისტრმა მირიან გოგიაშვილმა. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს პარლამენტი იანვრის პირველ რიცხვებში ცენტრალური საარჩევნო კომისიის ახალი შემადგენლობის დამტკიცებას აპირებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი.. საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ უკვე შეარჩია 500 ადამიანი, რომელიც ხელშეკრულების საფუძველზე იმსახურებს ეროვნული გვარდიის სამთო მსროლელ ბატალიონში. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

თბილისი პარლამენტარი ვან ბაიბურთი მიიჩნევს, რომ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მოქმედი პარტია "ვირქი" საკმაოდ სუსტი ორგანიზაციაა და რეალურად რეგიონში მხარდაჭერით არ სარგებლობს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს პარლამენტის წევრებმა სამძიმარი გამოთქვეს გროზნოში 27 დეკემბერს მომხდარი ტერაქტის გამო, რომელმაც რამდენიმე ათეული ადამიანი იმსხვერპლა. **კავკას-პრესი**

სამართალი

მოსამართლე და დამცველი - მოსარჩელე და მოპასუხე

პირველი გვერდიდან

ერაგიაც შეჰყოლია და დამუქრებია, იუსტიციის საბჭოში გიჩივლებო. ასლანიკაშვილი სხვას არაფერს ამბობს, მოსამართლე ჟორჟოლიანმა კი პროკურატურაში განცხადება შეიტანა, ადვოკატის მიერ სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტზე, და სისხლის სამართლის საქმის აღძვრა მოითხოვა.

"აღნიშნული ბრალდება მინიმალურ სასჯელს ითვალისწინებს, მაგრამ ვიღაცა დაინტერესებულია ნუგზარ ერაგიას დაპატიმრებით და ამიტომ რამდენიმე ხანში პროკურატურამ ადვოკატს ბრალდება შედარებით მძიმე მუხლით შეუცვალა – მუქარა ან ძალადობა სამართლწარმოების განხორციელებასა და წინასწარ გამოძიებასთან დაკავშირებით, რაც ჯარიმით ან სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება," – აღნიშნა შეხვედრაზე თენგიზ ასლანიკაშვილმა.

აღნიშნული ბრალდების გამო, ზესტაფონის რაიონულმა სასამართლომ ნუგზარ ერაგიას სამი თვით წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა ქუთაისის საოლქო სასამართლომაც.

მართლმსაჯულების ასეთი გადაწყვეტილებით აღშფოთებულმა ერაგიამ შიმშილობა გამოაცხადა, მისი დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები კი დახმარებას ჟურნალისტებს სთხოვენ.

ობიექტურობის დადგენის მიზნით, დაზარალებულ მოსამართლე დურმიშხან ჟორჟოლიანს დავუკავშირდით.

ვახტო ბესელია. ფოტო

თენგიზ ასლანიკაშვილი და ნიკა არსენიშვილი

"ნუგზარ ერაგიამ მარტო მიმდინარე წელს ქუთაისის სასამართლოში განსახილველად 500 განცხადება შემოიტანა, მაგრამ ექვსმა მოსამართლემ მისი საქმეების განხილვას აცილება მისცა. ამით რომ ვერაფერს გახდა, ბოლო დროს სხვების საქმეებში ჩართვა გადაწყვიტა, ოღონდ არა ადვოკატად, როგორც მისი დამცველები აცხადებენ (მას იურიდიული განათლებაც არ აქვს), არამედ წარმომადგენლად. მაგრამ ერაგიას ფუნქცია ვინმეს ინტერესების დაცვა კი არა, სასამართლო პროცესების ჩაშლა და გაჭიანურებაა, რასაც, მისი დამხმარე "ლაშქარის" დამსახურებით, წარმატებით ახერხებს კიდეც.

ლანჩავას პროცესზეც ერაგიამ ეს მიზანი დაისახა. თავის გამოსვლაში, რასაც საქმესთან არსებითი კავშირი არ ჰქონდა, ჯერ მე მომაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, შემდეგ კი, საერთოდ, სასამართლოს შემადგენლობას. რა თქმა უნდა, გავაფრთხილე, განმეორებით შემთხვევაში დარბაზიდან გაგაძევებ-მეთქი, რისი უფლებაც, როგორც მოსამართლეს, კანონით მაქვს მონიჭებული, მაგრამ მან უფრო ხმამაღლა დაიწყო ყვირილი და მუქარაზეც გადმოვიდა - ჯერ პირადი განადგურებით, შემდეგ კი სახლის აფეთქებით დამემუქრა. სიტყვიერი შეურაცხყოფა მომაყენა მარინა დახუნდარიძემაც. სხვათა შორის, სიტყვიერი შეურაცხყოფის მუხლით მის მიმართაც არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე. ამის შემდეგ შესვენება გამოვაცხადე და თავმჯდომარის კაბინეტში შევედი. ერაგია იქაც შემომყვა და იწევდა, უნდოდა, წყობიდან გამოვეყვანე – თუ მართალი ხარ, რატომ არ მარტყამო. ამის შემდეგ, როგორც იურისტი, იძულებული გავხდი და ვალდებულიც ვიყავი, სამართალდამცველებისათვის მიმემართა. თუმცა, აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ერაგიას დაპატიმრება ჩემი სურვილი არ ყოფილა", – აღნიშნა ჩვენთან საუბარში დურმიშხან ჟორჟოლიანმა.

ნუგზარ ერაგიას დაპატიმრებას კანონიერს უწოდებს ქუთაისის პროკურორი შალვა ფხაკაძეც, რომელიც უახლოეს მომავალში ერაგიას ფსიქიური მდგომარეობის შესამოწმებლად შესაბამისი ექსპერტიზის დანიშვნას აპირებს. **"ჯერ ერთი, ერაგია, რომელიც ქართულად შესანიშნავად მეტყველებს, გვეუბნება, მეგრულად ვაზროვნებ და თარჯიმანი დამინიშნეთო. ამას ემატება ისიც, რომ წერილებს ქართული ასოებით მეგრულ ენაზე გვწერს და ბოლოში სისტემატურად ასე აწერს: "კაციჭამია ქართველებისგან დევნილი მეგრელი დისიდენტი ნუგზარ ერაგია". აქედან გამომდინარე, არ არის გამორიცხული, ეს პიროვნება შეურაცხადი იყოს,"** – აღნიშნა ჩვენთან საუბარში პროკურორმა.

დედაქალაქში კონტრაბანდით დატვირთული ავტობუსები დააკავეს

სოფიკო ჩხაიძე

თბილისის პოლიციამ დედაქალაქის შემოსასვლელში საბერძნეთიდან მომავალი ორი ავტობუსი დააკავა. მძღოლებს (რეისები: თბილისი-სალონიკი-თბილისი და თბილისი-ათენი-თბილისი) იმის დასამტკიცებლად, რომ ლეგალურად გადაჰყავდათ მგზავრები და გადაჰქონდათ ტვირთი, არანაირი დოკუმენტი არ აღმოაჩნდათ. თითოეულ ავტობუსში სამი-ოთხი მგზავრი იჯდა, სამაგიეროდ, ორივე ტვირთით იყო სავსე.

ვიდრე მოკვლევა არ დასრულდება, სამართალდამცველები აღნიშნული ფაქტისთვის კონტრაბანდის კვალიფიკაციის მიცემისგან თავს იკავებენ. თუმცა, პოლიციის განცხადებით, ერთი შეხედვით, ყველაფერი სწორედ აღნიშნული დანაშაულისკენ მიუთითებს.

ამჟამად ორივე ავტობუსი გაჩერებულია ლილოს ტერმინალზე, სადაც შემოწმდება ტვირთის ნაირსახეობა და დაითვლება მისი რაოდენობა.

თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს უფროსის მერაბ მელუას თქმით, მოკვლევის დასრულების შემდეგ, გამოძიების პროცესში, განისაზღვრება ავტობუსის მფლობელთა ვინაობა (სავარაუდოდ, ისინიც და მძღოლებიც საქართველოში მცხოვრები ბერძენი ეროვნების მოქალაქეები არიან) და მათი პასუხისმგებლობის საკითხიც დადგება.

არ არის გამორიცხული, რომ დამნაშავეები აღმოჩნდნენ სარფის საბაჟოსა და ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს შესაბამისი სამმართველოს თანამშრომლები, რომლებმაც ავტობუსებზე უცხოეთში გასვლის ლიცენზია გასცეს. გამოძიება დაადგენს, მებაჟეებმა უყურადღებობის გამო გაატარეს უსაბუთო ავტობუსები საზღვარზე თუ ანგარებას ჰქონდა ადგილი.

თუმცა იმის თქმაც შეიძლება, რომ პოლიციელთა მხრიდან ამგვარი მუქარა ხშირად გაგვიგია, მაგრამ დაპატიმრებული საბაჟოს თანამშრომელი თითქმის არ გვინახავს.

საზოგადოება

უფასო სასწრაფო სამედიცინო დახმარება ჭიანურდება

საკრებულოს საკუთარი გადაწყვეტილების შესრულება გაუჭირდება

თბილისის საკრებულოს ერთ-ერთი დადგენილებით, სასწრაფო სამედიცინო დახმარება - 03, მომავალი წლის 1 თებერვლიდან მოსახლეობისთვის უფასო უნდა გამხდარიყო, თუმცა ამის დროულად შესრულება თავად ამ გადაწყვეტილების ავტორებს დღეს უკვე აეჭვებთ. საკითხის გაჭიანურებაში საკრებულო და მერია ერთმანეთს ადანაშაულებენ.

ეთერ მამულაშვილი

მოსახლეობისთვის უფასო სასწრაფო დახმარების აღდგენის შესახებ დადგენილება დედაქალაქის თვითმართველობის ორგანომ ნოემბრის ბოლოს გამოიტანა. ამის შემდეგ ჯანდაცვის საქალაქო სამსახურს დაევალა, რომ შესაბამისი პროგრამა და მისი ფინანსური გაანგარიშება ორ კვირაში, დაახლოებით, 15 დეკემბრისთვის უნდა წარმოედგინა. ამ ვადის შემდეგ ორ კვირაზე მეტი გავიდა, თუმცა, როგორც საკრებულოში გვითხრეს, ჯანდაცვის საქალაქო სამსახურიდან მათ ჯერ არავინ გამოხმაურებია.

ლეიბორისტული პარტიის ლიდერი ამტკიცებს, რომ ამ საკითხის ხელოვნური გაჭიანურება გარკვეული დაჯგუფებების ინტერესებითაა გამოწვეული. "ფული აღარ ემეტებათ და ამიტომაც აჭიანურებენ. დროის უქონლობას იმიზეზებენ, რეალურად კი, პარიზსა და ამერიკაში მოგზაურობენ და საცოდავი ხალხისთვის სასიკეთო საკითხების გადასაწყვეტად აღარ სცხელათ. ეს აქეთიქით სირბილი ცოტა ძვირად დაუჯდებათ. დასხდნენ და დროულად გადაწყვიტონ ეს საკითხი, თორემ მე მაგათ ვუჩვენებ სეირს", - იმუქრება შალვა ნათელაშვილი.

წლის ბოლომდე ორი სამუშაო დღე რჩება. საკრებულოს წევრს, ლევან მეტრეველს ეჭვი ეპარება, რომ მთავრობამ დარჩენილ დროში მოასწროს საკრებულოსთვის ფინანსური ანგარიშის წარდგენა, მითუმეტეს მაშინ, როცა ჯანდაცვის საქალაქო სამსახურს მიცემულ დავალებაზე მუშაობა ჯერ არ დაუსრულებია. მეტრეველს, საკითხის ამგვარი გაჭიანურების გამო, 1 თებერვლიდან უფასო სასწარფო დახმარების შემოღების არ სჯერა.

ჯანდაცვის საქალაქო სამსახურის უფროსმა, დავით პავლიაშვილმა თავი იმართლა, - საკრებულოს დადგენილება უფასო სასწრაფო დახმარების შესახებ მხოლოდ ერთი კვირის წინათ მივიღე და პროგრამას 15 დეკემბერს როგორ წარვადგენდიო. თბილისელებისთვის უფასო სასწრაფო დახმარების პროგრამის ამოქმედების ზუსტი დროის დასახელება პავლიაშვილსაც უჭირს.

საკრებულოში გვითხრეს, - შეუძლებელია, პავლიაშვილის სამსახურს ამდენი ხნის დაგვიანებით მიეღო ჩვენი დადგენილება, ჩვეულებრივ, ოთხ-ხუთ დღეზე მეტ ხანს არ გვიანდებაო.

ასეა თუ ისე, სავარაუდოა, რომ აღნიშნული პროგრამა 1 თებერვლამდე ვერ მოესწრება. მას მერე, რაც ჯანდაცვის საქალაქო სამსახური შესაბამის დოკუმენტაციას წარმოადგენს, თავდაპირველად ის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიამ უნდა განიხილოს, შემდგომ საკრებულოს ფრაქციების ჯერი დადგება. უკეთეს შემთხვევაში ეს პროცესები მომავალი წლის პირველივე სამუშაო დღეებიდან დაიწყება, რაც იმდენად დროში გაწელილი პროცესია, რომ მისი ერთ თვეში მოსწრება ბევრს დაუჯერებლად მიაჩნია. პროგრამის ძალაში შესასვლელად საჭიროა საკრებულოს წევრთა უმრავლესობის მხარდაჭერა. საკრებულოს წევრები კი იმუქრებიან, - თუკი ჯანდაცვის საქალაქო სამსახური საკუთარი ბიუჯეტის პარამეტრებში ახლებურ ხედვას არ შემოიტანს, არათუ უფასო სასწარაფო დახმარების ინიციატივას, არც ერთ საკითხს არ დავუჭერთ მხარსო.

საკრებულოში გვითხრეს, რომ თბილისელებმა საჭირო სასწარფო სამედიცინო დახმარება დროულად და ხარისხიანად რომ მიიღონ, ამისთვის მომავალი წლის ბიუჯეტში სამი მილიონი ლარი უნდა იყოს გათვალისწინებული. ამ თანხის გარკვეული ნაწილით, პირველ რიგში, მოწესრიგდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, პარკი ავტომანქანების საჭირო რაოდენობით შეივსება, ცენტრი შესაბამისი სამედიცინო და საკომუნიკაციო ტექნიკით აღიჭურვება.

შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს ხსენებული დადგენილების შესრულება თავიდანვე აეჭვებდა. მინისტრის მოადგილე ვასილ ჭეიშვილი ფიქრობს, რომ სამი მილიონით დედაქალაქში უფასო სასწრაფო დახმარების აღდგენა, რეალურად, შეუძლებელია. "ახლა დღეში, საშუალოდ, 400-450 გამოძახება ფიქსირდება და ეს ციფრი, სულ ცოტა, 800-მდე მაინც გაიზრდება, თუ სასწრაფო უფასო გახდება. სამი მილიონი მხოლოდ გამოძახებებს არ ეყოფა, სასწრაფოს ტექნიკურ გადაირაღებაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია", - გვითხრა ჭეიშვილმა.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

იყავით ხაზზე!

და მოიგეთ მრავალი პრიზი ჯეოსელთან ერთად!

მიიღეთ მონაწილეობა ჯეოსელის ვიქტორინაში და მოიგეთ ყოველ კვირას: ავტომობილი ნივა, **VESTEL**-ის ფირმის ტელევიზორი, აუდიო, ვიდეო და **DVD** სისტემის მაგნიტოფონები "ელიტელექტრონიქსისაგან"* **SAMSUNG**-ისა და **NOKIA**-ს ტელეფონები, ელ-გენერატორი, უფასო სასაუბრო დრო, ფრანგული პარფუმერია.

ვიქტორინაში მონაწილეობის მისაღებად საკმარისია:

- იყოთ ჯეოსელის აქტიური აბონენტი;
- უპასუხოთ ყოველკვირეულ შეკითხვას;
- გამოიცნოთ სწორი პასუხი და დაადასტუროთ თქვენი ზარით:
- კი -დარეკეთ ნომერზე 111**
- არა-დარეკეთ ნომერზე 222**

ჯეოსელმა დაარსა მიწისძვრით დაზარალებულთა დახმარების ფონდი?

კვირის კითხვას ჯეოსელი დაგისვამთ ტელევიზიის ("რუსთავი 2" და "პირველი არხი"), რადიოს ("ფორტუნა", "ფორტუნა +") და გაზეთის ("24 საათის" და "ალია") საშუალებით.
გამოიცნოთ სწორი პასუხი და დაადასტუროთ თქვენი ზარით:

ჯეოსელი

დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ 928 ან 822 770 177

*ელიტელექტრონიქსის მაღაზიები: თბილისი, მარჯანიშვილის 19 და ალმაშენებლის 146 ბათუმი: გამსახურდიას 47, ერას 91; ქუთაისი: გრიშაშვილის 31.
**ერთი ზარის ღირებულებაა 0,288 ლარი

ახალი ტერაქტები ისრაელში

ისრაელის სპეცრაზმი ტერორისტების განადგურებას იწყებს

ПЕРВЫЙ ГВЕРДИДАН

მოკვლის საპასუხო ღონისძიებას წარმოადგენდა.

რამდენიმე საათის შემდეგ, იერუსალამის ცენტრში, ე.წ. რუსული დასახლების მიდამოებში ასაფეთქებელი ნივთიერებით სავსე ავტომანქანა აფეთქდა. თუმცა, ამჯერად მხოლოდ თავად კამიკაძე-ტერორისტი დაზარალდა. ის მძიმედ დაშავდა. გონზე მოსულმა ტერორისტმა განაცხადა, რომ მას შაჰიდად გახდომა სურდა.

დამკვირვებელთა აზრით, ტერორისტული აფეთქებებისა და თავდასხმების ახალი ტალღა უკანასკნელ ხანებში ისრაელის არმიის მიერ მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე ჩატარებული ოპერაციებით არის განპირობებული, რაც ხშირ შემთხვევაში პალესტინელთა მსხვერპლით სრულდება. ორი დღის წინ დასავლეთ სანაპიროს რამდენიმე რაიონში ერთდროულად ჩატარებულ სპეცოპერაციას ცხრა პალესტინელი შეეწირა, ხოლო ათზე მეტმა სხვადასხვა სახის ჭრილობები მიიღო.

უკვე რამდენიმე დღეა, ისრაელის არმიისა და პოლიციის დანაყოფები განსაკუთრებულ საბრძოლო მზადაყოფნაში არიან მოყვანილნი. თელავივმა ახალი ტერორისტული აქტების მზადების შესახებ მიიღო ინფორმაცია. იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე განლაგებულ უმეტეს პალესტინურ დასახლებებში კომენდატის საათის მკაცრი რეჟიმი მოქმედებს.

ორდღიანი შესვენების შემდეგ, რაც შობის დღესასწაულს უკავშირდებოდა, კომენდატის საათი კვლავ ამოქმედდა ბეთლემში. ამასთან, ისრაელის არმიის ჯავშანტექნიკამ კვლავ დაიკავა ბეთლემის ცენტრი.

ჩეჩენ კამიკაძეებს რუსეთის არმიის მიერ გაცემული საშვები და მოწმობები ჰქონდათ

ჩეჩნეთის დედაქალაქ გროზნოდან მოსული უკანასკნელი მონაცემების თანახმად, 27 დეკემბერს ადმინისტრაციის შენობაში განხორციელებული მასშტაბური ტერაქტის შედეგად დაღუპულთა რიცხვმა 55-ს მიაღწია, ხოლო დაჭრილია 123 ადამიანი. ამის თაობაზე ინფორმაცია რუსეთის ფედერაციის საგანგებო სიტუაციათა სამინისტროს მედიცინის ცენტრმა გაავრცელა. გაწმენდითი სამუშაოები გროზნოში ჯერ დასრულებული არ არის, ამდენად, ეს მონაცემები საბოლოო ვერ იქნება. მსხვერპლის რაოდენობა შესაძლოა კიდევ გაიზარდოს. გარდა ამისა, საავადმყოფოებში მოთავსებული ზოგიერთი დაჭრილის მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა.

ამასთანავე ცნობილი გახდა ტერაქტის განხორციელების დეტალებიც. როგორც გაირკვა, ტერორისტ-კამიკაძეებს ჩეჩნეთის სამთავრობო კომპლექსის ტერიტორიაზე შესვლისას ყველა დოკუმენტი წესრიგში ჰქონდათ, ხოლო მათთვის საშვები ჩეჩნეთში რუსეთის არმიის დაჯგუფების სარდლობის მიერ იყო გამოწერილი. **"ტერორისტებს ყველა საჭირო დოკუმენტი გააჩნდათ. ავტომობილების საქარე მინაზე ორი ოფიციალური საშვი იყო მიკრული, ისეთი, როგორიც რუსეთის არმიის დაჯგუფების ტრანსპორტს აქვს. გარდა ამისა, შესვლისას მათ კიდევ ერთი მოწმობა გამოიყენეს,"** - განაცხადა ჩეჩნეთის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ აჰმედ დაკაევმა. არსებული ინფორმაციით, ტერორისტი-შაჰიდები აფეთქებისთანავე დაიღუპნენ. მათი გვამები სხვა დაღუპულთა შორის უკვე ნაპოვნი და აღმოჩენილია, თუმცა მათი სახეების ამოცნობა ჯერ-ჯერობით ვერ ხერხდება. თავად ავტომანქანებისგან კი, ფაქტობრივად, არაფერი დარჩა.

ჩეჩნეთის განდევნილი პრეზიდენტის ასლან მასხადოვის მთავრობის წარმომადგენელმა და ემისარმა აჰმედ ზაკაევმა უკვე გაავრცელა თავისი პირველი კომენტარი. **"ტერაქტი გროზნოში იმის საუკეთესო მტკიცებულებაა, რომ ვერც კადიროვი და ვერც რუსეთის არმიის გაერთიანებული დაჯგუფება რესპუბლიკაში ვითარებას ვერ აკონტროლებს,** - განაცხადა ზაკაევმა, - **ჩვენ საშიშ ზღვართან ვდგავართ, როცა შეიძლება მივიღოთ მეორე პალესტინა ისრაელთან ერთად, ოღონდ ამჯერად უკვე რუსეთში. ამას კამიკაძეები ადასტურებენ. ისინი პრეზიდენტის მითითებით არ მოქმედებენ. ესენი არიან ადამიანები, რომლებიც ველარ უძლებენ პოლიტიკოსთა და მასმედიის მხრიდან სიცრუის ნიაღვარს."**

„ლინკოლნი„ და „ვაშინგტონი„ ომისათვის მზად არიან

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ოთხი ამერიკული ავიამზიდი საბრძოლო მზადყოფნაში მოიყვანა. მათ შორისაა იაპონიის ნაპირებთან ბაზირებული სამხედრო ხომალდი "კიტი ჰოვკი". აშშ-ს სამხედრო წყაროებზე დაყრდნობით, იაპონიის მასმედია აკეთებს დასკვნას, რომ ამერიკის სამხედრო მანქანამ ამ აქციით ერაყთან საომარი მზადების დამამთავრებელი ფაზა დაიწყო. პენტაგონის წყაროების განცხადებით, "კიტი ჰოვკის" გარდა, საბრძოლო მზადყოფნაშია მოყვანილი ავსტრალიასთან ბაზირებული ავიამზიდი "აბრაჰამ ლინკოლნი" და შეერთებული შტატების ტერიტორიულ წყლებში მდგარი ორი ავიამზიდი, მათ შორის, "ჯორჯ ვაშინგტონი." საერთო ჯამში, ოთხივე ავიამზიდზე 4 ათას ოთხასი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე იმყოფება. ასევე გახდა ცნობილი, რომ 2003 წლის 10-19 იანვარს იაპონიაში აშშ-ს სამხედრო-საზღვაო ძალების წრთვნები დაიწყება, მასში მონაწილეობას მიიღებს "კიტი ჰოვკი" და მასზე განთავსებული ყველა საბრძოლო თვითმფრინავი.



აფხაზი ჟურნალისტები თბილისში

სვეტლანა კორსაია

იბრაგიმ ჩქადუა

ფოტოები ხერხეულიძის ფოტოგრაფიები

საზოგადოების მხრიდან, რომელიც მსგავს ინიციატივებს დიდი მოწონებით არ ხვდება.

"ეს, ალბათ, გასაგებია თქვენთვის... ქართველი ჟურნალისტების ჩასვლა აფხაზეთში, რა თქმა უნდა, მისაღებია როგორც საქართველოს ხელისუფლებისთვის, პოლიტიკური თვალსაზრისით, ისე - საზოგადოებისთვისაც. ჩვენთან კი აფხაზი ჟურნალისტების ვიზიტს თბილისში დადებითად არ ხვდებიან," - აცხადებს იგი, თუმცა ამბობს, რომ თავად მას განსაკუთრებული პრობლემა არ შექმნია გალის ფილმთან დაკავშირებით და, საერთოდ, მიაჩნია, რომ აკეთებს საქმეს, რომელიც პრობლემების გადალახვად ღირს.

მიუხედავად იმისა, რომ ფილმთან დაკავშირებით ურთიერთთანამშრომლობა ქართველ და აფხაზ ჟურნალისტებს შორის წარმატებულად ხორციელდება და მიუხედავად ადამიანურ ურთიერთობებში ურთიერთგაგებისა, როცა საკითხი აფხაზურ კონფლიქტს ეხება, რა თქმა უნდა, ილუზიები თუნდაც ჩვეულებრივ ადამიანურ ურთიერთობებში რაიმე განსაკუთრებული პროგრესის შესახებ ქარწყლდება.

"კონფლიქტს ჩვეულებრივი ადამიანები ვგრძნობთ საკუთარ თავზე, ვგრძნობთ ეკონომიკურ ბლოკადას, დანგრეულია სახლები, გვაქვს მუდმივი დაუცველობის გრძნობა..." - ამბობს სვეტლანა კორსაია.

"იმის შემდეგ, რაც 1999 წელს განხორციელდა საქართველოს ხელისუფლების მხრიდან, ცხადია, რომ ყველაფერს უნდა ველოდოთ. ურთიერთობები უკვე არაერთხელ აფეთქდა..." - საუბარში ერთვება იბრაგიმ ჩქადუა.

"24 საათის" კითხვას - რა შეიძლება გააკეთოს აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებამ კონფლიქტის დასარეგულირებლად - აფხაზი ჟურნალისტები თავდაცვით პოზიციაში ჩადგომას ახვედრებენ და იმაზე საუბრობენ, **რომ "მეტი ინიციატივა საქართველოს საზოგადოებისგან და საქართველოს ხელისუფლებისგან უნდა მოდიოდეს."** თუმცა, აქვე აღნიშნავენ, რომ **"არაფერს ველოდებით საქართველოს დღევანდელი ხელისუფლებისგან, საზოგადოებისგან კი მოველით, რომ მომავალში მაინც მოგვისმენენ..."**

რადგან სიტყვა მოსმენაზე ჩამოვარდა, აქვე უნდა ითქვას, რომ "24 საათი" სხვა საკითხებითაც დაინტერესდა, მაგალითად:

" - რა დამოკიდებულება აქვთ სოხუმში ჩეჩნური კონფლიქტისადმი?"

" - რა დამოკიდებულება უნდა გქონდეს, როცა ერი თავისი დამოუკიდებლობისათვის იბრძვის?" - კითხვა შემოგვიბრუნა სვეტლანა კორსაიამ.

" - მოქალაქეობა ვისი გაქვთ?" - დაინტერესდა "24 საათი".

" - მოქალქეობა - აფხაზეთის და რუსეთის, თუმცა, ჯერ რუსული პასპორტი (ჩაწერის გარეშე) არ მოუციათ, ველოდებით"... - იყო პასუხი.

„ბიუჯეტის ჩავარდნა კარგი არ არის, კარგია ცუდი ბიუჯეტის ჩავარდნა"

ПЕРВЫЙ ГВЕРДИДАН

უცინოდა, ვიღაცას ხელკავით დაატარებდა, ვიღაცას თითს უქნევდა, პარლამენტის თავმჯდომარესთან პრეზიდიუმში რაღაცას არკვევდა... კენჭისყრის დროც მისი შეთავაზებით დაითქვა.

და მაინც, მმართველმა ძალამ და მისმა საპარლამენტო დასაყრდენმა, როგორც ჩანს, ყველა დეტალი ბოლომდე ვერ გათვალა და მოულოდნელი (თავად ოპონენტებისთვისაც კი) მარცხი იწვნია. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ბოლო ათწლეულში შევარდნაძის პირველი სერიოზული წარუმატებლობა საკანონმდებლო ორგანოში. აქამდე პარლამენტი ყოველთვის პრეზიდენტის პოლიტიკური ნების მორჩილი აღმსრულებელი იყო. სწორედ ამ "პრეცედენტმა" გამოიწვია ის შოკი და გაოგნება, რაც კენჭისყრის შედეგების გამოცხადებას მოჰყვა.

2003 წლის მთავარი ეკონომიკური კანონის ტორპედირებაში ლომის წილი მიუძღვით შემდეგ ფრაქციებს: **"გაერთიანებულ დემოკრატებს", "ახალ მემარჯვენეებს", "აღორძინებას", "ტრადიციონალისტებს"** (ფრაქციის წევრებიდან მხოლოდ **თედო პაატაშვილმა** მისცა ხმა ბიუჯეტის პროექტს), **"ნაციონალებს", "XXI საუკუნეს"** (ბიუჯეტს მხოლოდ **რევაზ მიშველაძემ** დაუჭირა მხარი) **და "ერთიან საქართველოს".** ამ ფრაქციათა წევრები ან არ ესწრებოდნენ გუშინდელ სხდომას და, შესაბამისად, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღიათ, ან ბიუჯეტის წინააღმდეგ მისცეს ხმა, რაც, თავისი არსით, ერთი და იგივე იყო (შუაზე გაიყო ფრაქცია **"ახალი აფხაზეთის"** ხმები - მისი წევრების ნაწილმა მხარი დაუჭირა ბიუჯეტს, ნაწილმა წინააღმდეგ მისცა ხმა).

ხელისუფლების მიმართ ერთგულება გამოხატეს და კანონპროექტს ხმა მისცეს: **"მოქალაქეთა კავშირმა", "ალიანსმა", "თანადგომამ", "მრეწველებმა", "სოციალისტებმა", "აფხაზეთმა", "მაჟორიტარებმა" დამოუკიდებელი დეპუტატების უმრავლესობამ.** თუმცა, კენჭისყრის შედეგებმა მათი მონდომება სიზიფეს შრომად აქცია.

მარცხის მიუხედავად, ხელისუფლების წარმომადგენლები ცდილობდნენ, იხტიბარი არ გაეტეხათ. მომხდარ ფაქტზე სახელმწიფო მინისტრის რეაქცია იმაში გამოიხატა, რომ ბიუჯეტის ჩაგდება მან **"პოლიტიკური ინტრიგების სახელმწიფო ინტერესებზე მაღლა დაყენებით"** ახსნა.

ჯორბენაძემ სთხოვა პარლამენტარებს, ორშაბათს ისევ დაუბრუნდნენ ბიუჯეტზე მსჯელობას და აღნიშნა, რომ **"შემოსავლითი ნაწილის უმნიშვნელოდ გაზრდა შესაძლებელია, მაგრამ პარამეტრების კარდინალური გადასინჯვა, უბრალოდ, წარმოუდგენელია".**

"დღეს მეტი საშუალება არ არსებობს", - დასძენს სახელმწიფო მინისტრი.

თუმცა, ჯორბენაძის თხოვნის გათვალისწინება, პრაქტიკულად, შეუძლებელია - თავი რომ დავანებოთ წინასაახალწლო განწყობას და მისგან გამომდინარე, დეპუტაციის კიდევ ერთხელ მობილიზების არარეალურობას, ხვალიდან ახალი საბიუჯეტო ბატალიების დაწყება, უბრალოდ, პროცედურულადაც ვერ მოესწრება - ბიუჯეტის პროექტის განვევას და პარლამენტში ახლის წარმოდგენას, კომიტეტებსა და ფრაქციებში მის განხილვას საკმაოდ დიდი დრო სჭირდება. ამიტომ ხელახალი ბატალიები, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ ორი კვირის შემდეგ თუ დაიწყება. მით უმეტეს, რიგგარეშე სესია გუშინ უკვე ოფიციალურად დაიხურა და ახლის მოწვევაც, ცხადია, გარკვეულ დროსთან არის დაკავშირებული.

ვიდრე ხელისუფლება "გლოვობდა" და გამოსავალს ეძებდა, ოპოზიცია ცდილობდა, თავისი გამარჯვება ხმამაღლა და ხმაურით არ ეზეიმა - რაც არ უნდა იყოს, ბიუჯეტის მიუღებლობა ქვეყნის ცხოვრებაში რიგ ფინანსურ და ეკონომიკურ პრობლემებს შექმნის. თუმცა, თავისი დადებითი განწყობის დაფარვას გამარჯვებულები მაინც ვერ ახერხებდნენ.

"ეს პოზიტიური მოვლენა იყო. იქნებ ახლა მაინც გამოფხიზლდეს აღმასრულებელი ხელისუფლება და ილუზიებიდან გამოვიდეს. თუ მომავალში უკეთეს ბიუჯეტს არ შემოგვთავაზებენ, ისიც ჩავარდება", - მთავრობაზე გამარჯვებამ ერთობ გაახალისა აკაკი ასათიანი.

სახელმწიფო მინისტრის მოსაზრებას, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი პოლიტიკურ ინტრიგებს შეეწირა, ზურაბ ჟვანიაც ეთანხმება. ოღონდ, ჯორბენაძისგან განსხვავებით, "გაერთიანებული დემოკრატების" ლიდერი თავისი ნათქვამის საილუსტრაციოდ იმ გარემოებას ასახელებს, რომ **"ბიუჯეტის განხილვის დროს, მთავრობამ ოპოზიციასთან დიალოგზე უარი განაცხადა და მინიმალური ხელფასის გაზრდის საკითხის განხილვაც კი არ ისურვა".**

"ბიუჯეტის პროექტის ჩავარდნა კი არ არის კარგი, კარგი ის არის, რომ ბიუჯეტის ცუდი პროექტი ჩავარდა", - დასძენს ჟვანიას თანაგუნდელი ვასილ მაღლაფერიძე.

ასე თუ ისე, ახალი წლიდან საქართველო დროებით ძველ საბიუჯეტო რელსებზე დარჩება - ხარჯვით ნაწილში, ახალი ძირითადი ეკონომიკური კანონის მიღებამდე, ყოველთვიურად 2002 წლის ბიუჯეტის ერთ მეთორმეტედ ნაწილს მოიხმარს.

ეკონომიკა

სუფსის მიმდებარე ტერიტორია ეკოლოგიურ კატასტროფას გადაურჩა

ПЕРВЫЙ ГВЕРДИДАН

რაც შეეხება ნავთობის დაღვრის წყაროს, გარემოს დაცვის სამინისტროს პრეს-სამსახურის ხელმძღვანელის ინფორმაციით, ჯერ კიდევ 27 დეკემბერს იყო დადგენილი, რომ სოფელ ორმეთთან ნავთობის დაღვრის მიზეზი რეზერვუარის გადავსება გახდა. ეს კი, თავის მხრივ, რეზერვუარის თანამშრომლების უყურადღებობის ბრალია. **"რეზერვუარში ნავთობის დაგროვების პროცესს მუდმივი კონტროლი სჭირდება. რეზერვუარი გადაივსო, პატრონი რომ არავინ ჰყავდა, გადმოვიდა, ჩავიდა ღელეში, საიდანაც მდინარე სუფსაში ჩაიღვარა",** - განმარტა მაია კაპანაძემ. "24 საათისთვის" 27 დეკემბერს მიცემული ინფორმაციისგან განსხვავებით, რომლის მიხედვითაც ნავთობმა, შესაძლოა, "ბუნებრივად გაჟონა" ან სუფსის ტერმინალიდან მოხდა მისი დაღვრა, გუშინ გიორგი მახარაძემ ნავთობის დაღვრის წყაროს შესახებ გარემოს დაცვის სამინისტროს ვერსია დაადასტურა. მახარაძის ინფორმაციით, ამჟამად სამსახურიდან გათავისუფლებულია რამდენიმე თანამშრომელი, მათ შორის: ცვლის უფროსი, ოსტატი და ოპერატორი.

რუსეთის ბაზარზე ვროდუქციის 90 პროცენტი ყალბია

თორნიკე შარაშენიძე

რუსეთის სამომხმარებლო ბაზარზე პროდუქციის 90 პროცენტს ყალბი და ფალსიფიცირებული საქონელი შეადგენს. ასეთი ცნობა გამოაქვეყნა ამ ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტრომ. ფალსიფიცირებული საქონელი თითქმის ყველანაირ სფეროსა და დასახელებას მოიცავს - საკვებითა და კოსმეტიკით დაწყებული, სამედიცინო მედიკამენტებითა და საოჯახო ტექნიკით დამთავრებული. ცხადია, ეს ცნობა სერიოზულად შეაშფოთებს უცხოურ კომპანიებს. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, ყველა სახის ფალსიფიკაციას თავისი მწარმოებელი ჰყავს. მაგალითად, ელექტროტექნიკა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიიდან შემოდის; სათამაშოები და კოსმეტიკა ჩინეთიდან; საკვები, ტანისამოსი, წამლები, აუდიო-ვიდეო კასეტები თუ დისკები თავად რუსეთში მზადდება.

რუსებს ეს ამბავი ძნელად თუ გააკვირვებთ. მათ, ალბათ, არც ის აოცებთ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო არაფერს აკეთებს ფალსიფიკატორებთან საბრძოლველად და პარალელურად ასეთ განგაშს ტეხს ყალბ პროდუქციასთან დაკავშირებით.

სამინისტრო აცხადებს, რომ წელს პოლიციამ, საავტორო უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით, 2 ათასი საქმე გახსნა. მაგრამ ეს რიცხვი შთამბეჭდავად შეიძლება ჟღერდეს საქართველოში, სადაც ფალსიფიკატორებზე, რუსეთისგან განსხვავებით, სტატისტიკურ ინფორმაციასაც კი არავინ იძლევა. რუსეთის მასშტაბის ქვეყნისათვის ეს სასაცილო მონაცემია.

რუსებს კი ძალიანაც აკმაყოფილებთ მათ ქვეყანაში წარმოებული "ლევაისის" ჯინსები თუ ყალბი ლაზერული დისკები. აი, ფალსიფიცირებული საკვები და მედიკამენტები კი ნამდვილად ადარდებთ. ყოველწლიურად ათასობით რუსი კვდება საშიში ქიმიკატების შემცველი არყისგან, უამრავი იწამლება ფალსიფიცირებული ხიზილალისგან, რომელიც აკრძალული მასალისგან მზადდება. სანამ ეს ტენდენცია გრძელდება, უბრალო მოქალაქეები ძნელად თუ დაიჯერებენ, რომ პოლიცია სერიოზულად ებრძვის გამყალბებლებს.

ჯეოსელმა დაარსა მიწისძვრით დაზარალებულთა დახმარების ფონდი?

სინემა

კინოთეატრი "ამირანი"
24 საათი
(აშშ, 2002 წელი)

რეჟისორი: **ლუის მანდოკი**
მთავარ როლებში:
შარლიზ ტერონი
კევინ ბეიკონი
კორტნი ლავი
სტიუარტ ტუნსენდი

ამერიკულ ფილმებში იმდენად დეტალურადაა სხვადასხვა სახის დანაშაული აღწერილი, რომ კრიმინალურ სამყაროს, ჰოლივუდის ფილმების "ინსტრუქციების" მიხედვით, შეუძლია თავისი შავი საქმის კეთება. ამერიკაში ჯერ ასეთ ფილმებს აწარმოებენ და მერე უკვირთ, ჩვენთან დანაშაულებებმა იმატაო! თერთმეტი სექტემბრის ტერაქტიც ხომ ძალიან ჰგავდა მესამეხარისხოვანი ამერიკული ფილმის სიუჟეტს და ამიტომაც იყო რეალურად მომხდარი ტრაგედია ასეთი დაუჯერებელი.

"24 საათში" ორი ცნობილი მსახიობი თამაშობს, შარლიზ ტერონი და კევინ ბეიკონი. კევინ ბეიკონს რაც შეეხება, სხვადასხვა ფილმებში მისი თამაში კარგ და სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს, ის ერთნაირად დამაჯერებელია გამძვინვარებული უჩინმაჩინის თუ ბავშვების გამტაცებლის როლში. მის კარიერას ერთ-ორ გახმაურებულ ბლოკბასტერში მონაწილეობა აკლია, თორემ დარწმუნებული ვარ, კევინ ბეიკონი ჰოლივუდის ერთ-ერთი კაშკაშა ვარსკვლავი იქნებოდა.

შარლიზ ტერონი რამდენიმე პოპულარული მაღალბიუჯეტიან ფილმებშია გადაღებული ("ეშმაკის ადვოკატი", "ტკბილი ნოემბერი"), მაგრამ მისი მსახიობური ნიჭის შეფასება მაინც ჭირს. შარლიზ ტერონი სხვადასხვა კინოსურათებში მაყურებლის ყურადღებას თავისი ფიზიკური მონაცემებით და სილამაზით უფრო იპყრობს. მისი თამაშის ხარისხი კი ჯერ კიდევ დახვეწას საჭიროებს.

ეს ფილმი ერთი დამნაშავეთა ჯგუფის ისტორიაა, რომელიც მდიდარი მშობლების შვილების გატაცებაზეა "ორიენტირებული". გატაცებული ბავშვების მშობლებმა ოცდაოთხ საათში უნდა მოახერხონ გამოსასყიდის გადახდა, წინააღმდეგ შემთხვევაში გამტაცებლები ბავშვის მოკვლით იმუქრებიან.

ეს ფილმი მსუბუქ, გასართობ ჟანრს მიეკუთვნება, არასწორი იქნება, მას რამე ღრმა აზრი მოვთხოვოთ. "24 საათი" ერთი ნახვისთვისაა განკუთვნილი, რომლის ნახვის შემდეგაც ფილმის შინაარსი და იქ დატრიალებული მოვლენები უმალ დაგვავიწყდება.

არჩილ მელიქიშვილი

ქველმოქმედი ჯაზმენი

ვერა ნეფარიძე

დღეს კონსერვატორიის დიდ დარბაზში ამერიკელი პიანისტის სენფორდ ჰინდერლისა და ცნობილი ქართველი კონტრაბასისტის თამაზ ყურაშვილის კონცერტი გაიმართება. ამერიკელი მუსიკოსი რამდენიმე დღის წინათ ეწვია თბილისს. 27 დეკემბერს იგი თამაზ ყურაშვილთან ერთად აშშ-ს საელჩოში გამოვიდა მცირე საკონცერტო პროგრამით. დღეს კი ჰინდერლი კლასიკური ჯაზის თემებით იგივე დუეტში ფართო საზოგადოების წინაშე წარსდგება.

სენფორდ ჰინდერლი ცნობილი ჯაზ-პიანისტი, კომპოზიტორი და პედაგოგი ლოიოლას უნივერსიტეტის პროფესორია. ათი წლის წინათ, როდესაც იგივე უნივერსიტეტში ნოდარ გაბუნიაც მოღვაწეობდა, ჰინდერლი ქართველ მუსიკოსს შეხვდა. სწორედ ამ კავშირის წყალობით, უფრო ზუსტად კი თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მოწვევით, წელს ჰინდერლი თბილისში ჩამოვიდა. ქართულ მუსიკალურ წრეებში მას უფრო საქველმოქმედო და საგანმანათლებლო მოღვაწეობით იცნობენ. ეინდერლი ხელცარიელი არც თბილისში ჩამოსულა. მუსიკოსი თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიას ცამეტი მაკინტოშის ტიპის კომპიუტერს გადასცემს, სამომავლოდ კი ნოტებით მომარაგებას ჰპირდება.

სენფორდ პინდერლი 1979 წლიდან აშშ-ში ცხოვრობს. მანამდე იგი ფრანკფურტში ცხოვრობდა, სადაც ჩამოაყალიბა კიდეც ჯაზ-ფიუჟენ ტრიო "არტი". ჰინდერლი პირველად 12 წლის ასაკში სიეტლში, ტრადიციული ჯაზ-ორკესტრის შემადგენლობაში, ტუბა-ბასის შემსრულებლად გამოვიდა. ფორტეპიანოზე დაკვრას სწავლობდა ჯორჯ შერინგთან და ჯერომ გრეისთან. ბოსტონის ბერკლის მუსიკალური კოლეჯისა და ჩრდილო ტეხასის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იგი სისტემატურად გამოდის როგორც ჯაზის პიანისტი. მუდმივად მონაწილეობს ფესტივალებში: New Orleans Jazz, Heritage Festival. 1995 წელს იგი პირველი ევრო-არაბული ჯაზ-ფესტივალის მონაწილეა. პიანისტს გამართული აქვს კონცერტები ამერიკაში, საბჭოთა კავშირში, გერმანიაში, იაპონიასა და სირიაში. 1996 წელს გამოვიდა მისი პირველი დისკი Solo Flight, შემდეგ კი, როგორც კომპანია STR Digital Records-ის პრეზიდენტმა, გამოსცა რვა დისკი პროგრამით Jazz and Blues. ჰინდერლი სარეკლამოდ წარადგენს Mac World-სა და Apple Computer-ის სინთეზატორებს, წერს მუსიკას რადიო-ტელევიზიისა და ფილმებისათვის.

კალენდარი

29 დეკემბერი

ვისაც ცნობილი ამერიკული ფილმი "შუაღამის კოვბოი" (Midnight Cowboy) უნახავს, აუცილებლად აღფრთოვანებული დარჩებოდა მთავარი გმირის შემსრულებლის – ჯონ ვოიტის თამაშით, ნიჭითა და მიზიდველობით. "შუაღამის კოვბოი" ეკრანებზე 1969 წელს გამოვიდა და მაშინვე უდიდესი პოპულარობა მოიპოვა, მსახიობი ჯონ ვოიტი კი სწორედ ამ ფილმის მეშვეობით გახდა კინოვარსკვლავი: ნიუ-იორკის კინოკრიტიკოსთა პრიზი, ამერიკის კინოკრიტიკოსთა საზოგადოების პრემია, "ოქროს გლობუსი", ბრიტანეთის კინოაკადემიის პრიზი – ეს ჯილდოები ვოიტმა სწორედ "შუაღამის კოვბოიში" ნათამაშევი როლისთვის მოიპოვა. შემდეგი დიდი წარმატება "შინ დაბრუნებას" (Coming Home) ხვდა წილად. ამ ფილმში მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის ვოიტმა "ოქროს გლობუსის", კანის ფესტივალისა და სხვა კონკურს-ფესტივალების ჯილდოებთან ერთად ყველა მსახიობისთვის ნანატრი "ოსკარი" მიიღო. ეს მოხდა 1978 წელს. მაშინ რატომღაც ყველამ გადაწყვიტა, რომ ჯონ ვოიტისთვის, ისევე როგორც მსახიობთა დიდი ნაწილისთვის, "ოსკარის" მოპოვება ყველაზე ბედნიერი წამი იყო მის ცხოვრებაში, მაგრამ ერთ-ერთ ინტერვიუში ჟურნალისტის შეკითხვას ვოიტმა ასე უპასუხა: "მე ვფიქრობ, რომ ყველაზე ბედნიერი წამი მუშაობის პროცესში დგება. ის, რაც შემდეგ ხდება – შედეგი, პრიზები რეალურად არაფრის მომცემი არაა; უბრალოდ კარგია, როცა რაღაც შედეგს მიაღწევ და ვიღაცის ყურადღებას დაიმსახურებ. რა თქმა უნდა, ძალიან მადლობელი ვარ ჩემი შრომის დაფასებისათვის, მაგრამ ყველაზე დიდი ჯილდო მაინც მუშაობაა."

დღეს ჯონ ვოიტს იცნობენ არა მარტო როგორც ცნობილ მსახიობს, არამედ როგორც ცნობილი ვარსკვლავის მამას. მისი ქალიშვილის, ანჯელინა ჯოლის პოპულარობა დღითიდღე იზრდება. მამა ძალიან ამაყობს შვილის მიღწევებით და ანჯელინას მომავალი წარმატებების იმედი აქვს.

დღეს "შუაღამის კოვბოის" მთავარ გმირს 64 წელი შეუსრულდა. **ჯონ ვოიტი** 1938 წლის 29 დეკემბერს დაიბადა.

იქ, სადაც გოგენი ხატავდა

"ნოა-ნოა" - თბილისური "ტუსოვკის" ახალი ღამის სათევი

ვერა ნეფარიძე

წინასაახალწლო ვიკენდზე თბილისში ახალი ღამის კლუბის გახსნა აღნიშნეს. "ნოა-ნოა" პარასკევს კლუბის პირველ საპატიო სტუმრებს "ინსაითის", კახუჩელას, მაია ბარათაშვილისა და "მწვანე ოთახის" მუსიკით გაუმასპინძლდა.

კლუბი რუსთაველზეა, კავშირგაბმულობის ყოფილი სასადილოს ტერიტორიაზე; ერთ დროს, თბილისის ომის შემდეგ ფართს ჰუმანიტარული დახმარების საწყობადაც იყენებდნენ. ამიერიდან რუსთაველის 12-ში მდებარე "არკას", რომელიც აქამდე ბევრისთვის შეუმჩნეველი იყო, ალბათ, აღარ დაელევა ღამის სტუმარი.

"ნოა-ნოას" პირველ ღამესაც უამრავი სტუმარი ჰყავდა. კლუბის მესვეურებს უყურადღებოდ არ დაუტოვებიათ, თითქმის, არავინ, ვინც, ასე თუ ისე, ახლოსაა ქართულ შოუ-ბიზნესთან. ყველა მაგიდასთან შეხვდებოდით ეკრანიდან თუ ყოველდღიური ცხოვრებიდან ნაცნობ სახეებს. როგორც ყოველთვის, ჩვეული პუნქტუალობა არ დაურღვევია "მწვანე ოთახს"; ვახო ბაბუნაშვილის სტუმართა შორის გამოჩენით იმედები გაგვიცრუვდა - იმ საღამოს Soft Eject-ის გამოსვლა არ ყოფილა დაგეგმილი; მოგვიანებით მოვიდა პარიზიდან ახლად დაბრუნებული კახუჩელა სტეფანესთან და მეგობრებთან ერთად, - ყველას რა ჩამოთვლის, ნამდვილად ბევრნი იყვნენ.

ბესო ბილაშვილის ფოტო

"ინსაითი" კლუბის პრეზენტაციაზე

მათი ნაწილი იმ საღამოსვე გამოვიდა სცენაზე, ნაწილს, ალბათ, მომავალში უმასპინძლებს "ნოა-ნოა". ვინც მხოლოდ ფონოგრამით მღერის, ჩვენდა საიმედოდ, ამ კლუბის შემსრულებელთა შორის არ უნდა ველოდოთ. დანარჩენები შოუ-ბიზნესის სხვა რგოლების: ხმის ჩამწერი სტუდიების, საპროდიუსერო კომპანიისა თუ მას-მედიის წარმომადგენლები იყვნენ.

"აქცენტი იქნება ცოცხალ მუსიკაზე, მნიშვნელობა არ აქვს, ინსტრუმენტული იქნება ის თუ საშემსრულებლო, მივესალმებით ყველაფერს, რაც ცოცხალია. ჟანრობრივად, ალბათ, უფრო ჯაზისკენ ვიხრებით", - გვითხრა კლუბის იდეის ავტორმა და ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, გიორგი გაბუნიამ. კლუბის მესვეურებს უკვე შერჩეული ჰყავთ მუსიკოსები, რომლებთანაც სისტემატურად ითანამშრომლებენ. თუმცა, დიდი სურვილი აქვთ, ახალი სახეების აღმოჩენაზეც იმუშაონ. ამას გარდა, სურთ მუსიკოსებთან ერთად ორიგინალური საკონცერტო პროგრამა მოამზადონ. როგორც მივხვდით, ერთ-ერთ პირველ ასეთ ორიგინალურ ნამუშევარს "ნოა-ნოაში" ნინო ქათამაძისგან უნდა ველოდოთ. ღამის კლუბში, ცხადია, იქნება დისკოთეკაც, რისთვისაც "ნოა-ნოაში" უკვე ჰყავთ დიჯეი ნოა, რომელიც სტუმრებისთვის დილის ოთხ საათამდე იმუშავებს. ცოცხალი მუსიკისთვის კი ყოველდღე საათნახევარია განსაზღვრული.

"ნოა-ნოას" ერთ-ერთი ღირსებაა ინტერიერიც. ყველაფერი კლუბის შესასვლელში იწყება - კლუბის ლოგოზე ტაიტელი ქალებია გამოსახული, ხოლო ვისაც გოგენის ცხოვრებიდან კუნძულ ნოა-ნოას არსებობა გაახსენდება, აღარც კლუბის პრო-აღმოსავლური, აზიურ-ინდური მორთულობა გაუკვირდება. "თავიდან ძალიან ბევრი ვიფიქრეთ სახელზე, იყო ძალიან ბევრი, მაგრამ ჩვეულებრივი ვარიანტი. "ნოა-ნოა" უფრო ჟღერადობით მოგვეწონა და შემდეგ უკვე დაემატა ის იდეა, რაც დღეს აქვს", - გვიხსნის გიორგი გაბუნია. კლუბის დიზაინზე რამდენიმე მხატვართან ერთად არქიტექტორმა დიმა დემეტრაძემ იზრუნა. მათ ნამუშევარს პარასკევს მისულმა აუდიტორიამ საკმაოდ მაღალი შეფასება მისცა. არანაკლები მოწონება დაიმსახურა კლუბის საფირმო ატრიბუტმა - სტუმრებისთვის დარიგებულმა ქაღალდის ფერადმა ყელსაბამებმა და გემრიელმა მსუბუქმა საჭმელმა. ერთი სიტყვით, პრეზენტაცია საკმაოდ ორგანიზებული და სასიამოვნო გამოვიდა. და თუკი სტუმართა პირველი შთაბეჭდილებებით აღმოთქმულ ფრაზებსაც გავითვალისწინებთ (მაგალითად: "ანი აქედან აღარ გავალ", "აუ, როგორ მომეწონაა", "ძალიან მაგარი კლუბია"), "ნოა-ნოას" საკმაოდ წარმატებული პერსპექტივა ელის. ამ ყველაფერის დასაგემოვნებლად, როგორც გვითხრეს, ათი ლარია (შესასვლელი თანხა) აუცილებელი.

სტანისლავ ჰორნო-პოპლავსკი - 100 წელი

ჰენრიეტა იუსტინსკაია

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის საქტო დარბაზში დეკემბრის ბოლოს ჩატარდა გამოჩენილი პოლონელი მოქანდაკის, სტანისლავ ჰორნო-პოპლავსკის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. კონფერენცია ჩატარდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის, საქართველოს მხატვართა კავშირის და საქართველოში პოლონეთის საელჩოს ერთობლივი ძალისხმევით. მისი ორგანიზატორი იყო თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პროფესორი, საქართველოს დამსახურებული მხატვარი, ქალბატონი ჰენრიეტა იუსტინსკაია. საიუბილეო კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს და სიტყვით გამოვიდნენ სამხატვრო აკადემიის რექტორი, პროფესორი, ბატონი სოსო ქოიავა და საქართველოში პოლონეთის ელჩი, ბატონი მარეკ მარტინეკი. მოხსენებები გააკეთეს ქალბატონებმა - ნინო ზაალიშვილმა და იდა ოცხელმა, ბატონებმა - მიტო ხახუტაშვილმა და ოთარ ფარულავამ. ამ უკანასკნელმა აზრი გამოთქვა, რომ იმ სახლზე, რომელშიც ჰორნო-პოპლავსკი დაიბადა და ცხოვრობდა, მემორიალური დაფა უნდა გაკეთდეს, და ქუთაისში ბალახვანის ქუჩას მისი სახელი დაერქვას.



შოთა რუსთაველი

სტანისლავ ჰორნო-პოპლავსკი დაიბადა ქუთაისში 1902 წელს, პოლონეთიდან გადმოსახლებულ მეამბოხეთა ოჯახში. მან აქ დაამთავრა გიმნაზია, აქვე შეუყვარდა ხატვა. მოგვიანებით, იგონებდა რა თავის ბავშვობას და ყრმობას, იგი, უკვე გამოჩენილი მოქანდაკე, წერდა: "მე შთაგონებული ვარ კავკასიონის მთებით, ეს ხომ ქანდაკებაა უდიდეს მაშტაბებში."

20-იან წლებში ის თავის ისტორიულ სამშობლოში მიემგზავრება, ვარშავის სამხატვრო აკადემიას ამთავრებს, შემდეგ საფრანგეთსა და იტალიაში სწავლობს. თითქმის ყველა თავისი ნამუშევარი მან გრანიტში გამოკვეთა. ნამუშევრებისთვის ის გრანიტს ფერის მიხედვით ირჩევდა, აღფრთოვანებული იყო ამ ქვის ფერის სითბოთი თუ სიმკაცრით.

"ფერების რამხელა გამა გამიხსნეს კავკასიონის ქვებმა," - წერდა სტანისლავ ჰორნო-პოპლავსკი.

ის მრავალჯერ უბრუნდებოდა საყვარელ თემებს. მან გამოკვეთა ადამ მიცკევიჩის ქანდაკება, რომელიც ვარშავის მეცნიერებისა და კულტურის სასახლის წინ დგას, შემდეგ შექმნა ადამ მიცკევიჩის ქვის პორტრეტი, რომელიც პოლონეთში პოზნანის კონკურსზე დაჯილდოვდა, ხოლო მესამე მოსკოვში, პუშკინის სახელობის ხელოვნების მუზეუმში ინახება.

მასვე ეკუთვნის შოთა რუსთაველის სხვადასხვა ფერის ქვისაგან შექმნილი რამდენიმე პორტრეტი.

საქართველოში მორიგი ჩამოსვლის დროს ჰორნო-პოპლავსკიმ მოინახულა იყალთო და ალავერდი. ის თავის შთაბეჭდილებებს ასე აღწერდა: "ტაძრებმა შემძრეს, მე ვიგრძენი რუსთაველის ეპოქის კლიმატი, ის ხომ იქ სწავლობდა. "ვეფხისტყაოსნის" გენიალურმა ავტორმა მთლიანად დაიპყრო ჩემი შთაგონება."

მის შემოქმედებაში რამდენჯერმე მეორდება ნიკო ფიროსმანის სახეც.

სტანისლავ ჰორნო-პოპლავსკის ბევრი ნამუშევარი პოლონეთის დიდ ქალაქებს ამშვენებს. მწერალ სტეფან ჟერომსკის ქანდაკება ქალაქ როზევეში დგას, მარია კონოპნიცკაიასი - ქალაქ კალიშში, იულიან მარხლევსკისა - ვლოცლავეკში, კომპოზიტორ კაროლ შიმანოვსკისა - სლუპსკში და ა.შ.

მის ცხოვრებაში იყო მძიმე პერიოდებიც, როცა იგი მოკლებული იყო ყველაფერს, ყველაზე მთავარსაც - შემოქმედებით შრომას. 1939 წელს, როცა ფაშისტური გერმანია პოლონეთს თავს დაესხა, იგი ფაშისტების წინააღმდეგ იბრძოდა, ტყვედ ჩავარდა და ომის დამთავრებამდე ვალდენბურგის საკონცენტრაციო ბანაკში იმყოფებოდა. მაგრამ ამან ვერ გატეხა მისი სიცოცხლისადმი სწრაფვა, სიკეთისა და ხელოვნების სიყვარული. გათავისუფლების შემდეგ ის გაორკეცებული ენერგიით მუშაობდა, თითქოს, სურდა, დაკარგული წლები აღედგინა.

მან შექმნა გამოჩენილი ადამიანების და თანამედროვეების სკულპტურული პორტრეტების დიდი გალერეა, როგორც თვითონ აღნიშნავდა - "ქვის ნაკადი", რომლებშიც დიდი ოსტატობით აისახება ამ პიროვნებათა ხასიათები.

მისი მრავალი ნაშრომი დაცულია პოლონეთის, გერმანიის, საფრანგეთის, რუსეთის, საქართველოს და სხვა ქვეყნების მუზეუმებში. ყველა ნამუშევარს საკუთარი ხელით ასრულებდა, ქვას "ზედმეტს" აცლიდა და, როგორც თვითონ ამბობდა, "ათავისუფლებდა."

იგი იყო დაჯილდოებული უამრავი ორდენითა და მედლით, იყო პოლონეთის სახელმწიფო პრემიის ორგზის მფლობელი, პოლონეთის კულტურის სამინისტროს პირველი ხარისხის პრემიის სამგზის ლაურეატი.

1969 წელს ფლორენციაში, XIX ბიენალეზე მას ოქროს მედალი მიენიჭა.

თავისი ცხოვრების მანძილზე იგი მუდმივად უბრუნდებოდა ახალგაზრდობის მოგონებებს - საქართველოს, კავკასიას. ამას მოწმობს მისი ნამუშევრების სახელებიც: "რუსთაველის პორტრეტი", "ქართველი ქალის პორტრეტი", "შოთა რუსთაველი", "მანანა", "დონარა", "კოლხიდა", "რიონი", "მოგონებები სოხუმზე", "ფიროსმანი", "ბაგრატის ქვები".

სტანისლავ ჰორნო-პოპლავსკი გარდაიცვალა პოლონეთში 1997 წელს.

კითხვარი

ბოლო დროის ყველაზე დიდი კულტურული მოვლენა ინტერნეტია

შადიმან შამანაძე
მწერალი

1. თქვენი აზრით, რაზეა დამოკიდებული კულტურის აქტივობა, რა არის ყველაზე გამომწვევი (სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან) ფაქტორი კულტურისთვის, რით შეუძლია მას უპასუხოს ამგვარ გამოწვევებს?

2. როგორ ფიქრობთ, შეიცვალა თუ არა რაიმე ქართულ კულტურაში ახალი საუკუნისა და ახალი ათასწლეულის მიჯნაზე? იქნებ დაგვისახელოთ უკანასკნელი წლების ყველაზე მნიშვნელოვანი კულტურული მოვლენა.

3. ამჟამად რას კითხულობთ, რას უსმენთ, რომელ გამოფენას ეწვიეთ ან რომელი სპექტაკლი თუ ფილმი ნახეთ ბოლო დროს?

1. ისტორიას თუ გადავხედავთ, კულტურის აქტივობა, გარკვეულწილად, ქვეყნის სიძლიერეს (ეკონომიკური იქნება ეს, თუ პოლიტიკური) უკავშირდება. ყოველ შემთხვევისთვის, კულტურაში ოქროს საუკუნეებს რომ უწოდებენ, ძირითადად ქვეყნის აღმავლობას, პოზიციების გამყარებას და საერთოდ ცხოვრების მაღალ დონეს ემთხვევა. თუმცა კანონზომიერი კავშირი ამ ორ ფაქტორს შორის შესაძლოა, არც იყოს. და მაინც დიდი ქვეყნების ცხოვრება, კულტურულიც და საზოგადოებრივიც, მაინც ამ კანონზომიერების მიხედვით მიმდინარეობს. შეიძლება ამაში რაღაც მისტიკური ძალებიც მონაწილეობენ, ვარსკვლავთა განლაგება და ა.შ. ბევრი რამ ამოუცნობ ფაქტორებზეა დამოკიდებული. მაინცდამაინც მშიერი ხალხი არ არის საჭირო გენიალურის შექმნისათვის, მაგრამ ამის მაგალითებიც ხომ გვაქვს. ალბათ სხვა რამ მიზეზებიცაა, რომელიც მხოლოდ ადამიანზე და საზოგადოების წეს-წყობაზე არ არის დამოკიდებული, დიქტატურის და ტირანიის ეპოქაშიც ხომ ძალიან მნიშვნელოვანი ნაწარმოებები შექმნილა.

ვფიქრობ, გამოწვევა საზოგადოების მხრიდან უფრო ნაკლებად ხდება და შეიძლება ითქვას, რომ ეპოქა თავისი ავ-კარგით, მხოლოდ ტენდენციების და იმპულსების წარმოშობას იწვევს, რომლებიც შემდეგ აირეკლებიან ხოლმე კულტურულ ცხოვრებაში. ერთ-ერთი გადამწვეტი ფაქტორი იყო და არის, "ძლიერთა ამა სოფლისათა" დამოკიდებულება კულტურისადმი, იმ გაგებით, თუ რამდენად სჭირდებათ მათ კულტურული ფონი, როგორი სჭირდებათ და რისთვის სჭირდებათ. კარგად გვახსოვს, თუ რა კანონები მოქმედებდა სოციალისტურ და კომუნისტურ ეპოქაში. კულტურას მაშინ ძალიან მნიშვნელოვანი "ამოცანა" ჰქონდა დასახული. ამ მხრივ დიდი სახსრებიც იხარჯებოდა, მაგრამ მიმართულება იყო ცალმხრივი და რაც იყო, ყველას კარგად მოგეხსენებათ. დღეს კულტურისთვის უმნიშვნელოვანესია რევოლუციური ცვლილებები ყველა სფეროში, ჯერ ერთი, საზღვრების გახსნა და გარკვეულწილად გლობალურ პროცესებში ჩართვა და მეორე - ენობრივი მეგზურის შეცვლა, რადგანაც თუ ბოლო 200 წლის განმავლობაში, რუსული ენა იყო ქართველისთვის მეგზური მსოფლიო კულტურის გასაცნობად და გარეთ გასატანადაც, ახლა ეს სურათი იცვლება და შემოდის ინგლისური ენა (ძირითადად) და ინგლისურენოვანი სამყარო, იქაური ღირებულებები. ეს, რა თქმა უნდა, ხელშესახებ ცვლილებებს იწვევს.

2. მე მგონი ყველაზე დიდი კულტურული მოვლენა არის ინტერნეტი და ამ ცნების შემოსვლა ჩვენს ცნობიერებაში. უამრავი რამ, რაც კი აქამდე ყურმოკვრით ვიცოდით, შესაძლებლობა გვაქვს, გავიგოთ, ვნახოთ და წავიკითხოთ. პირველ ეტაპზე, რაც ახლაც გრძელდება, ტენდენცია იწვევდა მიბაძვის აღზევებას, იმის სურვილს, რომ არავის დაესწრო თავისუფალი ნიშის შევსება. ეტყობა, ეს ეპოქის სენია, ამიტომ მომძლავრდა აშკარა, უსირცხვილო პლაგიატობა უამრავ სფეროში. მაგრამ ვფიქრობ, ეს ტენდენცია ნელნელა ჩაქრება; ახლა უკვე რაღაცის გადაკეთების სურვილი ჩნდება, არა პირდაპირ გადმოღების, საკუთარზე, ეროვნულზე დაფუძნების. ამის თვალსაჩინო მაგალითია ესტრადა, რომელიც სამწუხაროდ, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ჯერ-ჯერობით კულტურულ ფენომენად მაინც ვერ იქცა. ვფიქრობ, ბოლო ათწლეულების ძირითადი ტენდენცია ეს არის.

ჩემის აზრით, ძალიან მნიშვნელოვანი კულტურული მოვლენაა, თანამედროვე ახალგაზრდული ლიტერატურა, თვითონ ფაქტი, რომ ასეთი აქტივობაა ახალგაზრდულ ლიტერატურაში, უკვე გასაოცარია. თუნდაც იმიტომ, რომ არავითარი ეკონომიკური სარგებელი ჯერ-ჯერობით არ ჩანს, ამას ალბათ რაღაც სხვა (არა მატერიალური) სარჩული უდევს. დიდი ინერცია და დიდი ძალების თანხვედრა მოხდა ათასწლეულის მიჯნაზე. ჩემთვის აუხსნელია: საიდან ასეთი თავგამოდება? რატომ იხარჯება ამ სფეროში ასეთი გულწრფელი ენერგიები? რაც მთავარია, ძალიან ნიჭიერი თაობა მოვიდა და ესაა ყველაზე მნიშვნელოვანი.

3. ბოლო დროს მურაკამის ორი რომანი წავიკითხე. შუალედებით ყოველთვის ვკითხულობ ჩეხოვის პიესებს. ახლაც რატომღაც მისი კრებული ავიღე ხელში. თელავის თეატრის ძალიან საინტერესო სპექტაკლი ვნახე, "მშვიდობით ლომებო", თამაზ ჭილაძის პიესის მიხედვით. ძალიან სასიხარულო ფაქტია, რომ თელავის თეატრი, რომელსაც ასე თუ ისე პროვინციის თეატრი ჰქვია, იმ გაგებით, რომ დედაქალაქში არ მოღვაწეობს, საკამოდ მაღალ სარეჟისორო და სამსახიობო ოსტატობას ინარჩუნებს. რაც შეეხება გამოფენებს, რომ გავუვლი, შევდივარ ხოლმე და ვათვალიერებ. ძირითადად ისევ ის სახელები და გვარებია, რომლებიც ჩემი სიყმაწვილიდან მახსოვს, ძირითადად ჩემი თაობის მხატვრები არიან. ქართულ ფილმზე სამწუხაროდ ვერ ვიტყვი, რომ რამე ვნახე. თუმცა, რაღაცეები ვნახე, მაგრამ მათ მთლად ფილმებს ვერ დავარქმევდი. რაც შეეხება მუსიკას, მომწონს ნიკა მემანიშვილის კომპოზიციები, ძალიან მომწონს ნინო ქათამაძე, თუმცა ვშიშობ, ამ უკომპოზიტორობაში არ დაიშტამპოს, ჯერ-ჯერობით რეპერტუარს ეძებს.

ხსოვნა

ლეგენდარული ზაქრო თელია გარდაიცვალა

ის ხელის ერთი შეხებით სვამდა დიაგნოზს

აკა ფონია

2002 წელი განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა საქართველოს სპორტისათვის: ჩვენგან წავიდნენ - "ფარჩო" ანთაძე, კახი ასათიანი, კოტე მახარაძე, ახლა კი - ზაქრო თელია...

სიტყვა "ლეგენდარული" განსაკუთრებული შეფასებაა. ბოლო დროს ამ სიტყვას ხშირად ხმარობენ, ზოგჯერ - უადგილოდაც, არადა სიტყვებს გაფრთხილება სჭირდება - მათ თავისი მნიშვნელობა არ უნდა დაუკარგო.

ქართველებს მართლაც გვყავდა "ლეგენდარული" ადამიანები - ის ხალხი, ვინც ისტორია შექმნა. ზაქრო თელია ასეთი იყო - ადამიანი "ლეგენდა". კაცი, რომელსაც არასოდეს უთამაშია ფეხბურთი, არასოდეს მოურგია "დინამოს" მაისურა და მაინც მისი სიმბოლო იყო. ხუთშაბათს 79 წლის ასაკში ზაქრო თელია გარდაიცვალა. წავიდა კიდევ ერთი, მართლაც, "ლეგენდა".

ბევრმა არ იცის, რომ ზაქრო თელიას კარიერა სპორტულ მედიცინაში არა ფეხბურთით, არამედ კალათბურთით დაიწყო. 1951-1952 წლებში ის საბჭოთა კავშირის საკალათბურთო ნაკრების ექიმი იყო, 1952 წლიდან კი თბილისის "დინამოს" დაუკავშირა თავისი ცხოვრება და ბოლომდე ასე დარჩა...

ზაქრო თელია 20 წლის მანძილზე იყო საქართველოს სპორტის აკადემიის სპორტული მედიცინის კათედრის გამგე, პროფესორი; შარშანწინ ის გასული საუკუნის საქართველოს სპორტის საუკეთესო ექიმად აღიარეს. აღიარება მას ნამდვილად არ აკლდა - აფასებდნენ და უყვარდათ საქართველოშიც და მის საზღვრებს გარეთაც. შარშან მან ზეპ ბლატერის პირადი წერილი მიიღო, რომელშიც FIFA-ს პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ ზაქრო თელია უნიკალური მოვლენაა მსოფლიოს სპორტულ მედიცინაში. "დინამოში" გატარებული 50 წელი - ეს სტაჟი უნიკალურია.

ხალხის სიყვარულს ჩინ-მედლების სიმრავლე არ განსაზღვრავს, მით უმეტეს, საქართველოში - ჩვენში პიროვნებებს სხვა დამსახურებებით აფასებენ. ზაქრო თელია უყვარდათ როგორც პროფესიონალი. ამბობენ, რომ დიაგნოზის დასასმელად მისთვის სპორტსმენზე ხელის ერთი შეხებაც საკმარისი იყო.

ზაქრო თელიას განსაკუთრებით აფასებდნენ უდიდესი პიროვნული ღირსებების გამო. განუმეორებელია მისი კურიოზები... თბილისის "დინამო" ბუხარესტის "დინამოს" ხვდებოდა. როდესაც გია გურული მოცელეს, მსაჯმა ზაქროს უხმო. მინდორზე შესულს ერთ-ერთი რუმინელი ფეხბურთელი გადაეღობა და გურულისათვის დახმარების აღმოჩენის საშუალებას არ აძლევდა. როდესაც ზაქრო მიხვდა, რომ მოედანზე "მშვიდობიანი გზით" არ შეუშვებდნენ, არც აცია, არც აცხელა და რუმინელ ფეხბურთელს მუცელში მუშტი უთავაზა, თანაც ისეთი სიძლიერით, რომ რუმინელი მოედანზე გაგორდა. მან იმ დღეს 5-მატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღო. გინახავთ დისკვალიფიცირებული ექიმი? - ზაქრო თელია ამასაც ახერხებდა.

მისი ახლობლების თქმით, ზაქრომ ვერაფრით გადაიტანა კახი ასათიანის სიკვდილი. კოტე მახარაძის დაღუპვის შესახებ კი საავადმყოფოში მწოლიარემ გაიგო და ეს უკვე მეტისმეტი აღმოჩნდა...

ზაქრო თელია...

...ბასა ღოლობერიძესთან ერთად

...კახი ასათიანთან ერთად

...ვიტალი დარასელიასთან ერთად

...რამაზ შენგელიასთან ერთად

ინფორმაცია

მარადონას პატივსაცემად ტაძარი აიგო

არგენტინელები ექსტაზში არიან. უფრო სწორად, ამ ექსტაზს მარადონას დაავადება ეწოდება. ასე ხსნიან ექსპერტები არგენტინის ქალაქ რისარიოს ბინადართა საქციელს, რომლებმაც ლეგენდარული ფეხბურთელის პატივსაცემად ეკლესია ააგეს. ამ ეკლესიაში მსურველები ყოფილი სუპერვარსკვლავის ჯანმრთელობისთვის ლოცულობენ. მარადონამ, კოკაინის დიდი დოზით მოხმარების გამო, ორი წლის წინათ გულის ინფარქტი გადაიტანა. მარადონას თაყვანისმცემლები მიიჩნევენ, რომ ამ გზით ყოფილი ფეხბურთელის რეაბილიტაციის პროცესს დააჩქარებენ. "იგლესია მარადონიანას" აგების იდეა ორ არგენტინელს - ერნან ამესს და ალეხანდრო ვერონს ეკუთვნის. ისინი ეკლესიის აგებაზე 1986 წლიდან ოცნებობდნენ, როცა დიეგო მარადონამ არგენტინის ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოაპოვებინა. ამესი და ვერონი აცხადებენ, რომ სამაგალითო კათოლიკები არიან და თავისი საქციელით მორწმუნეებისთვის შეურაცხყოფის მიყენება არც უფიქრიათ. "ეს მხოლოდ პატივისცემის გამოხატულებაა ყველა დროისა და ხალხის უდიდესი ფეხბურთელის მიმართ.

კაფუ იაპონიაში?!

იაპონური კლუბის "Yokohama F Marinos"-ის ხელმძღვანელობამ მტკიცედ გადაწყვიტა, რომ კლუბი ბრაზილიის ნაკრების მარჯვენა მცველით, კაფუთი გააძლიეროს. "Yokohama F Marinos"-ის წარმომადგენლები არ მალავენ, რომ მათ უკვე გაუგზავნეს თავიანთი ოფიციალური წინადადება კაფუს ამჟამინდელი კლუბის, "რომას" ხელმძღვანელობას. იტალიელთა პოზიცია ჯერ უცნობია, თუმცა ძნელი წარმოსადგენია, რომ "რომა" თავისი ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელის გაშვებას დათანხმდეს. არადა, იაპონელთა ზრახვები საკმაოდ სერიოზულია: კაფუს გარდა, "Yokohama F Marinos"-ს უცხოელი თავდამსხმელის შეძენაც აქვს გადაწყვეტილი. ცნობილია ასევე, რომ კლუბი იაპონიის ნაკრების ყოფილი ფორვარდის, ტაცუჰიკო კუბოს გადაბირებასაც გეგმავს.

რანიერი "სტემფორდ ბრიჯით" უკმაყოფილოა

ლონდონის "ჩელსის" მთავარი მწვრთნელი, კლაუდიო რანიერი, უკმაყოფილოა "სტემფორდ ბრიჯის" სტადიონის მინდვრის საფარით. მისი თქმით, საფარი მთლიანად უნდა გამოიცვალოს. "საუთჰემპტონთან" ამასწინანდელი მატჩის შემდეგ "ჩელსის" მწვრთნელმა განაცხადა, სწორედ უხარისხო მინდვრის ბრალია, რომ ტაბლოზე 0:0 დაფიქსირდაო. რანიერის აღიარებით, მართალია, "საუთჰემპტონი" სტუმრად თამაშობდა, მაგრამ ამ უსწორმასწორო მინდორზე იგი უპირატესობას ფლობდა. "2003 წელს მინდვრის საფარის გამოცვლას ვაპირებთ. ძველ მინდორზე კიდევ ორ მატჩს გავმართავთ – "მიდლსბროსა" და "ჩარლტონის" წინააღმდეგ. 11 იანვრის შემდეგ კი სამუშაოები დაიწყება", – განაცხადა რანიერიმ. "საუთჰემპტონთან" ფრედ დასრულებულმა მატჩმა "ჩელსის" საშუალება არ მისცა, პრემიერლიგის ლიდერთან, "არსენალთან", ქულათა დეფიციტი შეემცირებინა. "არისტოკრატთა" აქტივში, რომლებიც ახლა მეორე ადგილზე არიან, 38 ქულაა. 42 ქულით გათამაშებას ლიდერობს "არსენალი". მესამე ადგილზე "მანჩესტერ იუნაიტედია".

ნილ უებს პრობლემები აქვს

"მანჩესტერ იუნაიტედისა" და ინგლისის ნაკრების ყოფილი ვარსკვლავი, ნილ უები რთულ პერიოდს განიცდის. მანკუნიანელი გულშემატკივრების საყვარელი ფეხბურთელი 1996 წელს საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ ფოსტალიონად სამუშაოდ მოეწყო. უები კვირაში ხუთ დღეს შრომობს და გასამრჯელოდ თვეში 1000 გირვანქა სტერლინგზე ნაკლებს იღებს. "მივხვდი, რომ ფეხბურთის თამაშის გარდა არაფრის კეთება არ შემიძლია, - ამბობს უები, - "მანჩესტერ იუნაიტედში" თამაშის პერიოდში კვირაში 5 ათას გირვანქა სტერლინგს გამოვიმუშავებდი. ახლა კი რაღაც მათხოვრული გასამრჯელოთი უნდა დავკმაყოფილდე". დასაფასებელია ბრიტანელი ჟურნალისტების მარიფათი - მათ ბევრი ეძებეს და აღმოაჩინეს, რომ ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა დევიდ ბექჰემი ერთხელ აიძულეს, ნილ უებისთვის ფეხსაცმელი გაეწმინდა. მაშინ უები დევიდ ბექჰემის კერპი იყო. სერ ალექს ფერგიუსონი გაოცებულია თავისი გუნდის თამაშით. "არ მესმის, რატომ წავაგეთ ზედიზედ ორი მატჩი მაშინ, როცა კარგ ფორმაში ვართ", - განაცხადა ფერგიუსონმა. შეგახსენებთ, რომ ფერგიუსონის გუნდმა ჯერ "ბლექბერნს" დაუთმო სამი ქულა, შემდეგ კი მიდლსბროშიც წააგო - 1:3.

საფეხბურთო ტურნირი მეხმა ჩაშალა

მეხმა იოჰანესბურგის გარეუბან ბენონში შეწყვიტა საფეხბურთო ტურნირი. დაახლოებით, 1000 მაყურებელი გახდა იმის მოწმე, თუ როგორ დაეცა მეხი მოედნის ცენტრს და ყველა ფეხბურთელი მოცელილივით დააგდო. ერთი მათგანი ადგილზეევე გარდაიცვალა, ექვსი - შოკურ მდგომარეობაში იმყოფება. ბოლო სამი წელია, რაც ბენონის საფეხბურთო ტურნირი ახალ წლამდე ორი კვირით ადრე იმართება. ამჯერად ტურნირმა ქალაქის სხვადასხვა რაიონების 36 სამოყვარულო გუნდი მიიზიდა. ტურნირის ერთ-ერთი მიზანია ახალგაზრდების სპორტში ჩაბმა და ქუჩის გავლენისგან მათი მოწყვეტა. მასში მონაწილეობის მიღება 12 წლის ასაკიდან შეიძლება.

საბიემ დანაპირები ვერ აასრულა

ზუსტად არ მახსოვს, რა გვარი იყო ის მობურთალი პროვანსის ნაკრების მწვრთნელს რომ ეუბნებოდა, - დანიელ, მატჩის შემდეგ ასეთ განცხადებებს რატომ აკეთებო? ასეა თუ ისე, საბიე თავისი გუნდის გამარჯვებაში დარწმუნებული იყო. იმ დღიდან ერთი თვის შემდეგ ერთ პატარა ფრანგულ ქალაქ პეზენაში საბიეს პირობის შესრულების დრო დაუდგა, მაგრამ... პროვანსის მეტოქე ფინალში რუსიიონის (საფრანგეთის კატალონია) პროვინციის ნაკრები იყო. ფინალი იყო და, გასაკვირი არაა, მატჩს საფრანგეთის რაგბის კავშირის პრეზიდენტი, ქვეყნის ეროვნული ნაკრების მწვრთნელები, ფირა-აერის პრეზიდენტი და სხვა წარჩინებულნი რომ დაესწრნენ. მატჩის შემდგომ ოფიციალურმა პირებმა ტურნირის თაობაზე ისაუბრეს. აღინიშნა, რომ შარშანდელთან შედარებით წლევანდელი ტურნირი უფრო წარმომადგენლობითი და უკეთ ორგანიზებული იყო. გამოითქვა ვარაუდი, რომ მომავალი კიდევ უფრო უკეთესი იქნებოდა - თანაც, მომდევნო ტურნირში ბრიტანელების მონაწილეობას იმედოვნებენ. საერთო ჯამში, ტურნირით ყველა კმაყოფილი დარჩა. ფინალიც საკადრისი დონის გამოვიდა - კატალონიელებმა 15:9 მოიგეს. დღეს კიდევ ერთი ტურნირის გამარჯვებული გამოვლინდება - იბერიის თასის ფინალში პორტუგალიის ჩემპიონი "დირეტუ" ესპანეთის საუკეთესო გუნდს, "მორალეხა ალკობენდას" დაუპირისპირდება. რაგბის სიახლეებთან დაკავშირებით იმასაც ვიტყვით, რომ ავტორიტეტული სპორტული გამოცემის - "ეკიპის" გამოკითხვით, საფრანგეთის საუკეთესო სპორტულ გუნდად ამ ქვეყნის მორაგბეთა ნაკრები დასახელდა.

პონომარიოვი კასპაროვთან შესახვედრად ემზადება

19 წლის მსოფლიო ჩემპიონმა, რუსლან პონომარიოვმა დაასრულა გარი კასპაროვთან შეხვედრისთვის მზადების პირველი ეტაპი. მატჩი მომავალი წლის ივნისში იალტაში გაიმართება. პონომარიოვი ყირიმიდან შინ გაემგზავრა ახალი წლის შესახვედრად. "ზეიმი ოჯახურ წრეში კარგი ნიშანია ყველაფერში წარმატების მისაღწევად", - ამბობს პონომარიოვი და ნანობს, რომ კასპაროვთან მატჩზე იმ სვიტრის ჩაცმას ვერ შეძლებს, რომლითაც ყოველთვის წარმატებას აღწევდა, რადგან ის, უბრალოდ, დაუპატარავდა. მოჭადრაკემ მთელი დეკემბერი იალტაში გაატარა. მისი დღის განრიგი იწყებოდა ფიზიკური ვარჯიშებით და სამკურნალო პროცედურებით, რომელიც მას სქოლიოზის სამკურნალოდ დაუნიშნეს. სადილის წინ რუსლან პონომარიოვი მწვრთნელთან ვარჯიშობდა, მაგრამ რომელთან - არ დაუკონკრეტებია. შობის შემდეგ პონომარიოვი ნიდერლანდებში ტურნირზე გაემგზავრება, ხოლო თებერვლის დასაწყისში იალტაში დაბრუნდება.

ლაურეატები

სპორტსმენებმა 2002 წელსაც გამოსდეს სარმა

ვინაა საქართველოს ყველაზე უფრო ძლიერი საზოგადოება თუ არა ქართველი სპორტსმენები. გუშინ "შერატონ მეტეხი პალასში" საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის მიერ საქართველოს წლის საუკეთესო სპორტსმენი, მწვრთნელი და გუნდი დასახელდა

გიგა გურასაშვილი

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია ამგვარ გამოკითხვებს 1964 წლიდან აწყობს. მას შემდეგ სამ ათეულ წელზე მეტი გავიდა და ამ ხნის განმავლობაში წლის საუკეთესო სპორტსმენის წოდება არაერთმა სპორტსმენმა მოიპოვა. საინაუგურაციო გამოკითხვაში 1964 წელს ლაურეატობა ყველასთვის სათაყვანებელ ფეხბურთის ლეგენდას, სლავა მეტრეველს ერგო. იქიდან მოყოლებული ასეთ პატივს სპორტის ისეთი სახეობის წარმომადგენლებს მიაგებდნენ, რომლებიც დღეს ქართულ სპორტში, ფაქტობრივად, ამინდს ქმნიან. არიან ისეთებიც, რომლებსაც ეს წოდება რამდენჯერმე დაუმსახურებიათ. ლაურეატობა ყველაზე მეტჯერ ვიქტორ სანეევს (1968, 1972, 1976), ლევან თედიაშვილსა (1971,1973,1974) და გიორგი ასანიძეს (1998, 2000, 2001) აქვთ მოპოვებული. წლევანდელ ტრადიციულ რეფერენდუმში სავსებით შესაძლებელი გახლდათ, გიორგი ასანიძე მეოთხედ დაესახელებინათ წლის საუკეთესო სპორტსმენად. ქართველ ძალოსანს ამისთვის 51 ქულა დააკლდა, თუმცა ამაზე გული დიდად არც დაწყვეტია, რადგან ეს წოდება მის მეგობარს ხვდა.

ყოველწლიურ ტრადიციულ გამოკითხვაში პრესის, ტელერადიოსა და საინფორმაციო სააგენტოების 60 ჟურნალისტი მონაწილეობდა. საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის საახალწლო რეფერენდუმში სპორტის 14 სახეობის 37 სპორტსმენს შორის ათი საუკეთესო დასახელდა, რომლებიც, შესაბამისად, "შერატონ მეტეხი პალასში" გუშინ გამართულ საზეიმო ღონისძიებაზე დაჯილდოვეს კიდეც. ღონისძიების ორგანიზატორებმა ათეულის დასახელება ბოლოდან დაიწყეს, რამაც ზეიმს მეტი ინტრიგა შეჰმატა. ბუნებრივია, 2002 წლის საუკეთესო სპორტსმენის ვინაობის შესატყობად კარგა ხნის ლოდინი დაგვჭირდა. თუმცა, ინტერესს მოკლებული არც შუალედები იყო, რადგან გასარკვევი იყო, ვინ იმსახურებდა წლის საუკეთესო მწვრთნელის და გუნდის წოდებას.

თანმიმდევრობის დაცვით ჯერ სპორტსმენებს ჩამოვთვლით:
გიორგი ასანიძე (ძალოსნობა) - 484 ქულა;
ბადრი ხასაია (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) - 352;
ნინო სალუქვაძე (ტყვიის სროლა) - 279;
ლევან ცაბაძე (რაგბი) - 208;
კახა კალაძე (ფეხბურთი) - 190;
მანუჩარ კვირკველია (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) - 169;
აკაკი ხანიშვილი (სამბო) - 142;
ზურაბ ზვიადაური (ძიუდო) - 130;
დავით ქევხიშვილი (ძიუდო) - 90.

სპორტსმენთა დასახელების შემდეგ საუკეთესო მწვრთნელიც დაასახელეს. აქ კი, უკვე ზედიზედ მეორედ, ასეთი პატივი საქართველოს მორაგბეთა ნაკრების დამრიგებელს, კლოდ სორელს ხვდა. საუკეთესო ათეულისა და მწვრთნელის გამოცხადებაზე არანაკლებ საინტერესო იყო, 2002 წლის საუკეთესო გუნდის ვინაობა. თუ არ ვცდებით, პირველად მოხდა, რომ ერთბაშად ორი ნაკრები გუნდი დასახელდა საუკეთესოთა შორის საუკეთესოდ და, ალბათ, ასეც უნდა ყოფილიყო. 2002 წლის საუკეთესო გუნდებად დასახელდა საქართველოს მორაგბეთა და ძიუდოისტთა ეროვნული ნაკრები გუნდები. ღონისძიების კულმინაცია კი წლის საუკეთესო სპორტსმენის ვინაობის გაგება გახდა. 1996 წლის შემდეგ ასეთი პატივი სპორტულმა ჟურნალისტებმა მეორედ არგუნეს მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონს, ელდარ კურტანიძეს, რომელმაც 535 ქულა დააგროვა.

გიორგი ბერიძის ფოტო

გუჯა ბერიშვილი ელდარ კურტანიძეს აჯილდოვებს

ზემოთ ჩამოთვლილ სპორტსმენთა გარდა, ანკეტებში ბევრი სხვა ტიტულოვანი სპორტსმენებიც დასახელდნენ, მაგრამ ათეული ყველას ვერ დაიტევდა. სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციაში უყურადღებოდ არ დარჩენიათ რამდენიმე დღის წინათ პეტერბურგში, WBU-ს (კავშირის) ვერსიით, მძიმე წონოსან მოკრივეთა შორის გამოვლენილი პირველი საქართველი მსოფლიოს ჩემპიონი, გიორგი კანდელაკი. ვარიანელ მოკრივეს სიმბოლური საჩუქარი გადაეცა.

ჩვენს კოლეგებზეც მოგახსენებთ, რომლებიც სხვადასხვა ნომინაციებში დასახელდნენ ლაურეატებად. ტელეკომპანია "რუსთავი 2"-ის სპორტულმა ჟურნალისტმა, ზურაბ უსუფაშვილმა, შეიძლება ითქვას, დუბლი შეასრულა - ჯერ იყო და, საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა დაასახელა წლის საუკეთესო სპორტულ ჟურნალისტად, გუშინ კი მას "იბერია" ჯგუფმაც იგივე წოდება არგუნა. ნოდარ გუგუშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი გახდა გაზეთ "ოლიმპის" ჟურნალისტი, დავით ჭელიძე.

მინი-ფეხბურთი

ბენდელას თასს "ლოკომოტივი" დაეუფლა

ლოკომოტივი-მაისი 2:0

ბენდელას თასის მორიგი გათამაშება თბილისის "ლოკომოტივის" გამარჯვებით დასრულდა. ვარსკვლავებით დახუნძლულმა "მაისმა" შეხვედრის პირველივე წუთებიდან ბოლომდე, მატჩის ძირითადი დრო შეტევებში გაატარა, "ლოკომოტივმა" კი კონტრშეტევებზე თამაში ამჯობინა და გაიმარჯვა კიდეც. მატჩის ანგარიში უკვე 2:0 იყო, როდესაც "ლოკომოტივის" კარში პენალტი დაინიშნა, თუმცა "მაისმა" ვერც ეს შანსი გამოიყენა - ლაშა ჯაკობიამ უზუსტოდ დაარტყა.

ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელის პრიზი "ლოკომოტიველ" დავით სირაძეს გადასცეს. ბენდელას თასის წლევანდელი გათამაშების ყველაზე ტექნიკურ მოთამაშედ "მაისის" წევრი, ლადო ბურდული აღიარეს. ტურნირის ბომბარდირი კი ლაშა ჯაკობია გახდა, რომელიც ასევე "მაისის" შემადგენლობაში თამაშობდა.

ლაშა ჯაკობია, რომელიც ამჟამად უგუნდოდაა, მოლაპარაკებებს აწარმოებს ბელგიურ კლუბებთან. მისი თქმით, 14 იანვრამდე ცნობილი გახდება მისი ახალი გუნდის სახელი, სავარაუდოდ, ეს "გენკი" ან ლოკერენი" იქნება.

ბენდელას თასის წლევანდელ გათამაშებაში პირველად იქნა დაწესებული პრიზი საუკეთესო სპორტული ჟურნალისტისათვის - "კოტე მახარაძის სახელობის პრიზი" ტელეკომპანია "რუსთავი 2"-სა და გაზეთ "24 საათის" ჟურნალისტს, დიმიტრი ობოლაძეს გადასცეს.

ლევან ხეჩინაშვილის ფოტო

"ლოკომოტივი" - "ბენდელას" თასის 2002 წლის გამარჯვებული



ბინები

იყიდება

იყიდება 4-ოთახიანი არასტანდარტული ბინა პეკინის 35. 140 კვ.მ. ფასი 32 000, ტელ: 899 901729.

იყიდება ერთი ოთახი აღმაშენებლის 82-ში იტალიურ ეზოში I სართულზე, გამოდგება საოფისედ,. ფას: 5600$. ტელ: 34-06-65, 34-85-40, 899 266 221.

იყიდება ერთოთახიანი ბინა მეტრო სარაჯიშვილთან 8(8), ბ/აირით, ტელეფონით, რემონტით, მუდმივი წყლით, აივნით. ფასი 4000 $. 68 02 35

იყიდება ოთხოთახიანი ბინა ვაკეში, საცურაო აუზთან 6(16), გარემონტებული, ტელეფონით. 100 კვ.მ. 32 26 24

იყიდება ორთაჭალაში 2-სართულიანი აგურის შენობა (750 კვ.მ.) სარდაფით, მიწის ნაკვეთით. 75 53 55

იყიდება 2-ოთახიანი მაღალჭერიანი ბინა ევრო-რემონტით, თამარ მეფის გამზირზე N11. მე-5 სართული. 38-30-62, 8(99) 55-04-48

იყიდება 2-ოთახიანი ჩეხური გამზადებული ინტერნეტ-კაფესთვის, ოფისისთვის ან მაღაზისთვის. მიცკევიჩის 118-ში, 38-30-62, 899 55-04-48.

სასწრაფოდ, იყიდება 3+2 გაერთიანებული გადაკეთებული ბინა წერეთლის 55 ნომერში, ა/ფარეხით, მე-4 სართულზე. ს/ფასი 56 000. 899 51-58-54.

მიწის ნაკეთი

იყიდება ბაზალეთის ტბის პირას საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი შეთანხმებით. ტელ: 95-52-92.

ბინები

ქირა, ბირაო

ვაქირავებ 1-ოთახიან იზოლირებულ ბინას პარლამენტთან ახლოს, ბესიკის ქუჩა №9-ში, დღიურად. 92 03 85, 99 94 67, 8(93) 33 03 86

ქირავდება!

სახლი აღმაშენებლის გამზ. №151 (24-ე სკოლასთან); ევრო-რემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ.

ტელ: 37-28-77;
93-16-11; 899 539097

მანქანები

იყიდება BAS 2106, 1983 წლის. ლურჯი. კარგ მდგომარეობაში. ხიდი ოდნავ ხმაურობს. საწყისი ფასი 650 $. 68 02 35

შევიძენ მუხლუხა ამწე-კრანს-PDK-ს, ბულდოზერს - DT 130-ს, ბეტონის კვანძს უბ-145-ს ან უბ-90-ს. 25 34 34, 39 78 24, 8(99) 24 77 99

სწავლება

ინგლისში სტაჟირებული პედაგოგი შეგასწავლით ინგლისურ ენას თქვენი მიზნების გათვალისწინებით. აგრეთვე, მიიღებთ კონსულტაციებს დიდ ბრიტანეთში სწავლა-განათლების შესახებ. ტელ: 95-20-34, 96-64-12

მოვამზადებ ფიზიკა-მათემატიკაში სკოლის მოსწავლეებს, აბიტურიენტებს, მოსამზადებლის სტუდენტებს. 38 44 43 საღამოს, 61 29 76

შეგასწავლით!

კომპიუტერზე საოფისე პროგრამებს ინდივიდუალურად (WINDOWS, Word, Exell, Internet), ფასი 60 ლარი, ჭავჭავაძის 74, მე-9 სართ. 908 ოთახი.

ტელ: 25-35-48, 23-53-69 - თამილა.

სხვადასხვა

იყიდება დოგის, აღმოსავლეთ ევროპული და გერმანული ნაგაზის ლეკვები აცრით და საბუთებით.
- ვწვრთნი ძაღლებს (სტაჟიანი კინოლოგი) და დავიტოვებ ძაღლებს შენახვით.

897 575116 ხვიჩა.

ვარ 40 წლის, გამოცდილი ბუღალტერი საერთაშორისო ბუღალტერიისა და კომპიუტერის ცოდნით. ვეძებ სამსახურს. 58 83 51

იყიდება წისქვილი „მოგილევუ", უკრაინის. წარმადობა 15 ტონა დღეში. ფასი 5800 $. 33 50 91 (საღამოს 7 სთ-დან), 8(99) 91 87 73 ნათია

იყიდება ასაწყობი პავილიონი 40 კვ.მ. ფართობის. 8(93) 21 29 22

ვთარგმნი ინგლისურიდან, გერმანულიდან, რუსულიდან ქართულად შელავათიან ფასში. 75 53 55

- შეგაწუხათ მარტოობამ, სევდამ, სტრესმა ზამთრის ღამეებში? გინდა იპოვო გამოსავალი

დაგვირეკეთ ტ: 822-009-555

24-საათიანი სატელეფონო ფსიქოლოგიური კონსულტაციები.

1 წთ - 50 თეთრი
ანონიმურობა დაცულია

ფირმა "ულტრა-დომუს"-ი გთავაზობთ:
- პროექტირებას,
- დიზაინს,
- მშენებლობას.

ტელ: 23-36-58; 94-13-34; 893 347536

ფირმების რეგისტრაცია. ბუკლეტები, სავიზიტო ბარათები, პლაკატები.

ტელ: 95-39-97

მარჯანიშვილის 21, მე-4 სართული.

აფიშა

საკონცერტო დარბაზები

- **ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი**

მხიარულთა და საზრიანთა გუნდი "თსუ"
დას: 13:00; 18:00 სთ; ფასი 5-9 ლარი

- **კონსერვატორიის დიდი საკონცერტო დარბაზი**

ჯაზის საღამო
სენფორდ ჰინდერელი (ფორტეპიანო) აშშ, თამაზ ყურაშვილი (კონტრაბასი)
დას: 19:00 სთ; ფასი 4,6,8,10 ლარი

თეატრები

- **რეზო გაბრიაძის თეატრ-სტუდია**

ყოველ პარასკევს, შაბათს და კვირას გაიმართება სპექტაკლი "ჩემი გაზაფხულის შემოდგომა"
დას: 19.00. ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში 11 - 16 სთ-მდე. (შავთელის ქ. №13). ტელ: 98-65-90, 98-65-93.

- **ოვერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი**

ჭუზეპე ვერდი "მაკბედი", რეჟ. გურამ მელივა
დას: 18:00 სთ; ფასი 5-20 ლარი

- **თეატრალური სარდაფი**

ნანა ჯანელიძე "ანტიგონე", რეჟ. ნანა ჯანელიძე, მთავარ როლებში ნანა ხუსკივაძე, კახა აბუაშვილი

- **ახმეტელის თეატრი**

"საშობაო ზღაპარი", რეჟ. ოთარ ბაღათურია
დას: 13:00; 15:00 სთ

- **ნოდარ დუმბაძის სახელობის საბავშვო თეატრი**

დიდი დარბაზი
ჰანს ქრისტიან ანდერსენი "თოვლის დედოფალი", რეჟ. გია კიტია
დას: 12:00 სთ
მცირე დარბაზი
"საშობაო ზღაპარი", რეჟ. გია კიტია
დას:12:00 სთ

- **თავისუფალი თეატრი**

"ყველაზე, ყველაზე დიდი სასწაული", რეჟ. ავარსიმაშვილი, თ. ღლონტი
დას: 13:00; ფასი 5 ლარი (საჩუქარით)
"კომედიანტები", რეჟ. ავთანდილ ვარსიმაშვილი
დას: 19:00 სთ, ფასი 3,5,7 ლარი

საგამოფენო დარბაზები

- **ეროვნული გალერეა**

საშობაო გამოფენა

- **ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**

ქართველ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა (ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება)

- **თანამედროვე ხელოვნების გალერეა „ორიენტი„**

საქველმოქმედო გამოფენა

- **„ძარვასლა„**

თინა კობიაშვილის სახელოსნოს და მისი ნამუშევრების გამოფენა
ფოტო კოლაჟი "ძველი თბილისი", ნინო გერსამიას ნამუშევრების გამოფენა

კინოთეატრები

- **„ამირანი„**

"ჰარი პოტერი", რეჟ. კრის კოლუმბი
დას: 10:30; 13:30; 16:30; 19:30 სთ; ფასი 5,8 ლარი
"24 საათი", როლებში; შერლი სტერონი, კევინ ბეიკონი
დას: 22:30 სთ; ფასი 8 ლარი

- **„რუსთაველი„**

მულტიპლიკაციური ფილმი "პიტერ პენი 2"
დას: 13:30 სთ
"ლილო და სტიჩი"
დას: 15:00; 16:30 სთ.
"უნებლიე მილიონერი"
დას: 19:00 სთ
"გზაჯვარედინი"
დას: 21:30 სთ

- **„ელისო„**

"ლილო და სტიჩი"
დას: 13:30; 18:00 სთ; ფასი 5 ლარი
მულტიპლიკაციური ფილმი "პიტერ პენი 2"
დას: 15:00; 16:30 სთ; ფასი 5 ლარი
"გზაჯვარედინი"
დას: 19:30 სთ
"უნებლიე მილიონერი"
დას: 21:30 სთ; ფასი 5 ლარი

სკანდინავიური კროსვორდი



ESM-თბილისის სკოლა-ლიცეუმი

ცხადდება მიღება მოსამზადებელ ჯგუფებში

V-VI-VII-VIII-IX კლასების იმ მოსწავლეთათვის, რომლებიც სწავლის გაგრძელებას აპირებენ ESM-თბილისის სკოლა- ლიცეუმში.
მეცადინეობა ჩატარდება მათემატიკასა და უცხო ენაში - კვირაში 3-ჯერ 15^{00} საათიდან. სწავლება დაიწყება 15 იანვარს.
განცხადებები მიიღება ყოველდღე 9^{30} -დან 15^{00} -საათამდე.

მისამართი: ნუცუბიძის 223. (საქართველოს ბანკის შენობასთან).
ტელეფონი: 32 97 83 (9.00-15.00) სკოლა-ლიცეუმი, 877 425286.

სადილი ყველას

კვირას 29 დეკემბერს "კათარზისი" კვლავ იწვევს ნებისმიერ მსურველს სათნოების სახლში 12-დან 17 საათამდე, სადაც ცხელ გემრიელ სადილს შესთავაზებენ.
ამჯერად თქვენ გიმასპინძლებთ ფოთის პორტი.

დარეკეთ 11-დან 17 საათამდე 95-16-45.
დავით აღმაშენებლის 121.

ჰაიდი კლუმის ბრილიანტები

"ყოველთვის მიყვარდა სამკაული, ძალიან მიყვარს ბრილიანტები," გაუნდო ჟურნალისტებს ჰაიდი კლუმმა, მოდელმა, რომელიც უკვე რამდენიმე წელია, ყველაზე ლამაზ გერმანელ ქალადაა აღიარებული. "ძველი ოსტატების ნაკეთობები მიყვარს, ლამაზი ნივთები ანტიკვარით მოვაჭრეებთანაც მიყიდია. მაგრამ სამკაულების საკუთარ კოლექციაზე ოცნებასაც ვერ ვბედავდი."

კლუმს თითქოს ახლაც უკვირს, რომ ნიუ-იორკის ერთ-ერთი ყველაზე სახელმოხვეჭილი იუველირი მისი პარტნიორი გახდა. ამ თანამშრომლობის შედეგად შეიქმნა "მუვად, ჰაიდი კლუმის სამკაულების კოლექცია".

ორი ვარსკვლავის ურთიერთობა პოდიუმით დაიწყო, Victoria's Secret-ის ჩვენებით. 2001 წლის ნოემბერში წარმოდგენილ მოდელს "ღვთიური ვარსკვლავი" ერქვა. ეს მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული აზღუდი იყო – 12,5 მილიონ დოლარად შეფასებული პაწაწინა ნაჭერი პასკალ მუვადმა საფირონებით და ბრილიანტებით მორთო. ეს აზღუდი ბიკინის ზედა ნაწილი იყო მხოლოდ, ქვედა საცვალი სულ რაღაც 750 ათასი დოლარი ღირდა. ამ ბიკინის წყალობით ჰაიდი კლუმი გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა.

პირველი და წარმატებული შეხვედრის შემდეგ კლუმი და პასკალ მუვადი სულ იმას გეგმავდნენ, რომ რამე დიდი საქმე წამოეწყოთ ერთად. ამ დროის განმავლობაში აღმოჩნდა, რომ თვალწარმტაცი გარეგნობის გარდა ჰაიდი კლუმს დიდი გამომგონებლობის უნარი ჰქონია: ბიკინების დიზაინერიც გახდა, საკუთარი სუნამოები შექმნა და "ბირკენშტოკის" ბოლო დროს გამოსული ფეხსაცმლის ესკიზებიც მას ეკუთვნის. კლუმმა სამკაულიც გაიხსენა – რატომაც არა? მით უმეტეს, რომ გამოცდილი და სახელოვანი პარტნიორი უკვე ჰყავდა.

"ჩემი შემოქმედებისათვის დიდძალი მასალა მოგზაურობებმა მომცა. ის ნიმუშები, რომლებიც მონღოლეთსა და იტალიაში ვნახე, არნახულად ლამაზი იყო. გადავწყვიტე, რომ ჩემი კოლექცია კლასიკური უნდა ყოფილიყო, ისეთი, როგორიც ყველაზე კეთილშობილ ბრილიანტებს და პატიოსან თვლებს შეეფერება," ყვებოდა კლუმი თავის უკანასკნელ ინტერვიუში.

ჰაიდი კლუმის სამკაულები 2003 წელს გამოჩნდება ბაზარზე. პასკალ მუვადმა განაცხადა, რომ თავიდან მისი შედევრები ამერიკის შეერთებული შტატების მხოლოდ რამდენიმე მაღაზიაში გაიყიდება, და მხოლოდ ამის შემდეგ იხილავს დანარჩენი მსოფლიო ჰაიდი კლუმის კოლექციას. თავად ჰაიდი კი მის წარდგენას ბიკინიში აპირებს: "ბიკინი ყველაზე ფოტოგენური ტანსაცმელია. ჩემივე ესკიზების მიხედვით შეკერილს ჩავიცვამ – ნაწილი უკვე გადაღებულია და, ჩემი აზრით, გადასარევი გამომივიდა. ისე, უნდა ვაღიარო, რომ ჩემი ბიკინი თითქმის ყოველთვის მშრალია. წყალს ისევ სამკაულები მირჩევნია."

ჰაიდი ამტკიცებს, ბიკინის თამამად ტარება ყველა ქალს შეუძლიაო. "მე პირადად მხოლოდ იმით ვინარჩუნებ ფორმას, რომ ბევრი მძინავს, ყოველდღიურად სამ ლიტრამდე წყალს ვსვამ და როცა საშუალება მაქვს, ვცეკვავ. ბოლო დროს ფიტნესსაც მივყავი ხელი. ჭამით კი ბევრს არ ვჭამ. დიეტასაც არ ვიცავ, ტკბილზე უარის თქმა მიჭირს ხოლმე."

TV პროგრამა 29 დეკემბერი

რუსთავი - 2

08.00 მუსიკა
09.00 კურიერი
09.20 მულტსერიალი
10.50 სერიალი „ათასწლეული"
11.50 სიმფონიები
12.50 მხ.ფილმი
14.35 ველური გუნება
15.05 მხ. ფილმი
17.00 სერიალი „კოლომბო"
18.00, 21.00, 23.40 კურიერი
18.20 სერიალი „კოლომბო"
18.50 ველური გუნება
19.30 სერიალი „სახლი ძველ უბანში"
20.00 სერიალი „ჩინელი პოლიციელი"
21.25 ჩვენი ეზო
21.45 „ჯეოსელის კინოკლუბი" - „ხანმოკლე შეჯახება" 8 77 45-79-25 სოფი ლორენი, რიჩარდ გარტონი, „მაწანწალები მზე" 8 77 45-79-26 ჟან გაბენი, „ურჩხული" 8 77 45-79-27 ჟან-პოლ გელმონდო, რეკელ უელჩი
23.50 მხ.ფ. „ისთვიძელი ალქაჯები" მთ. როლებში ჯეკ ნიკოლსონი, სუზან სარანდონი
02.00 კლასიკა.

პირველი არხი

08.00 „მოამგე"
08.15 მხ. ფილმი „შტორმის შემდეგ"
10.00 დილის პაემანი
11.05 „ამბები ჩვენზე"
11.35 მოგზაურობა სასიტყვეთში
12.05 „სპა"
12.35 „პრეს-სტუდია"
13.25 მოსკოვი-თბილისი
13.55 ღამის ჯაზი
14.25 არათბილისური ამბები
15.00 საინფორმაციო პროგრამა ინგლისურ ენაზე
15.20 კომპოზიტორ ლალი საყვარელიძის საიუბილეო საღამო
17.05 „საკვირაო გამოფენა"
17.15 მულტსერიალი „პრინცესა ნერი"
17.40 ქეიე ქალი
18.00 ტაიმ-აუტი
18.20 ჩემპიონი
18.55 ეკოდაიჯესტი
19.25 ჩვენი მისამართია
20.00 ტაიმ-აუტი
20.55 „ამბოხები"
21.25 ტელესერიალი „ქალთა სავანე" მე-4 სერია
22.15 კონცერტი (ვივი ელისი)
23.35 სპ. კინოდარბაზი „ქორწილი"
00.00 ტაიმ-აუტი
00.30 მხ. ფილმი „ღამაზმანები"

პირველი სტერეო

09.15 გამ. მუსათეული
10.00 ტოროლა
11.00 გამ. ინფაქტი
13.00 გამ. პოლიტაპარაცი
13.15 აპუზის გარეშე
16.00 ფილმი კომედია „მეცეკვე"
18.00 ნონსტოპი
19.00 ქართული მუსიკა
19.30 ვიდეორადიო
21.00 ინგლისური მუსათეული
21.45 აბა გამოიცანი მელოდია
22.45 კვირის საუკეთესო ვიდეოსულიგნები
23.00 ინფორმატორი
23.30 არასარეკლამო ათეული
00.00 ფილმი ბრავო „ამელი"
01.45 ფილმი ღამურა „სამუდამოდ"
03.45 აპუზის გარეშე

მეორე არხი

19.00 მხიარული კარუსელი
19.30 დიზაინი
19.50 მრავალსახეობა
20.30 ვიცი
21.00 ტალანტები და თაყვანისმცემლები
21.50 ვარსკვლავები გვამცნობენ
22.00 ფვიდეული
23.00 მხ. ფილმი „სიყვარულის ტყვე ქალი"

იბერია

08.00 ახალი ამბები
08.15 ანონსი, მულტფილმი
08.20 აღსავალი
08.30 მხ. ფილმი „ოჯახი გაქირავებით"
10.15, 12.30, 21.55, 00.45 მუსიკა
10.20 მხ.ფ. „ელაპარაკე"
13.00 გადაცემა – მურადა (განმეორებით)
20.00 მხ.ფ. „ფიფის ქალაქი"
22.15 მხ.ფ. „ულის ოქრო"
00.50 ღამის ფილმი

კავკასია

12.00 მხ. ფილმი „უფსკრული"
14.00 მხ. ფილმი „სასიყვარულო ისტორია"
15.45 მხ. ფილმი „ჩიხში"
17.30 მხ. ფილმი „ბანდიდების მანია"
19.15 ინდ. მხ. ფილმი
22.00 მხ. ფილმი „ბანგსტერები"
00.20 მხ. ფილმი „ეშმაკისეული"

მეცხრე არხი

10.00 მხ. სერიალი „ზურგის ქარი"
10.45, 12.45, 19.10, 22.15, 00.15 მუსიკა
11.00 მხ. ფილმი „ქარიერა"
13.00 მულტფილმი „ქრისტეშობის ანგელოზი"
14.00 მხ. ფილმი „დუეტები"
16.00 მხ. ფილმი „სექსის შემდეგ"
17.30 დოკ. ფილმი „ეს ცეკვაა"
19.30 „მსოფლიო ფეხბურთი"
20.00 ქართ. მხ. ფილმი „ხარეგა და გოგია"
22.30 მხ. ფილმი „ნულოვანი თავი"
00.30 მხ. ფილმი „დედამიწა მინუს ნული"

VII არხი

18.20 „სახლიდან გაუსვლელად"
18.50 „აჩიკუდა"
19.10 „ავტოტრეკინგი"
20.50 „კინოკლუბი „ - „მოუხელთებელი თაღლითები"
22.15 „სახლიდან გაუსვლელად"
22.55 სპორტული პრობრამა - „ევროპული ფეხბურთი"
23.15 „სახლიდან გაუსვლელად"
23.40 სპორტული პრობრამა - „ევროპული ფეხბურთი"
01.30 „სახლიდან გაუსვლელად"

ОРТ

08.00, 11.00, 15.00 Новости
08.10 Сериал „Флиппер"
08.55 Сериал „Твинисы"
09.15 Армейский магазин
09.45 Дисней-клуб: „Тимон и Пумба"
10.10 Дог-шоу
11.10 „Непутевые заметки" с Дм.Крыловым
11.30 Пока все дома. Юбилейный выпуск
12.55 „Властелин вкуса"
13.45 Мюзикл „Нотр-Дам де Пари"
14.35 Дисней-клуб: „Утиные истории"
15.15 Умницы и умники
15.45 „Клуб путешественников"
16.30 Большие родители
17.00 Телеканал „Новый день". „Искусство делать деньги"
17.35 Предновогодний „Ералаш"
18.00 Живая природа. „Братья по крови"
19.00 Времена
20.15 КВН-2002. Финал года
22.35 Худ.фильм „Красотка"
00.55 Бокс. Артуро Гатти - Микки Уорд
02.00 „Дибров-party: магия"
03.10 Реальная музыка

РТР

07.10 Худ.фильм „Рождественская мистерия"
08.40 Сериал „Дракоша и компания"
09.10 „Русское лото".
10.00 „ТВ Бинго-шоу"
10.35 Вести-Москва. Неделя в городе
11.15 „Утренняя почта"
11.50 „Городок". Дайджест
12.20 Худ.фильм „Гранд-отель"
14.10 „Парламентский час"
15.00 Вести
15.20 „Вокруг света"
16.10 „Диалоги о животных"
17.10 „Создать „Группу „А". Док.сериал „Уфимские оборотни", 2 с.
18.05 „Комната смеха"
19.00 Комедия „Операция „Ы" и другие приключения Шурика"
20.50 „В „Городке"
21.00 Вести недели
22.10 „Специальный корреспондент"
22.35 Худ.фильм „Западня"
00.55 Худ.фильм „Видок"

НТВ

08.15 „Голубое дерево" **09.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** „Сегодня"
09.05 Худ.фильм „Центр нападения"
10.20 Телешоу „Шар удачи"
10.55 Погода на неделю
11.05 Экстремальное шоу „Фактор страха"
12.05 Юлия Бордовских в программе „Растительная жизнь"
12.40 „Вы будете смеяться!"
13.05 „Волшебная палочка". Профессия-репортер
13.30 „Служба спасения"
14.05 Комедия „Эта веселая планета"
15.50 Вкусные истории
16.00, 17.00, 18.00, 19.00 „Сегодня"
16.05 Своя игра
17.20 „Истории охотника за крокодилами"
17.45, 18.05 „Красота по-русски". Ток-шоу „Принцип домино"
19.05 Блокбастер „Маска Зорро"
22.00 „Намедни-2002"
23.20 Боевик „Три короля"
01.50 Куклы
02.05 Боевик „Бессмертный"

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-24
20-00-24

საგაზეთო ქაღალდი ფასდაკლებით
შ.პ.ს ენ-ჯი-სი
გთავაზობთ
საგაზეთო ქაღალდს რუსეთიდან
საშობაო ფასდაკლება
15 იანვრამდე
ფასი -580$-მდე
ტელ: 38 86 79 53 76 30 899 50 92 99

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება
თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,
მიიღეთ წამალი "სალხინო"
და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.
"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.
"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.
წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.
იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი
25.26.27.28.29 დეკემბერი
საახალწლო კონცერტი
დასაწყისი 18 საათზე
ჯორჯია ონლაინი
რადიო 101 farmavita 24 საათი